საქართველოს დიადი ლოჟა

უძველესი თავისუფალი და
აღიარებული ქვისმთლელთა (მასონთა) ორდენი

ცნობის ფურცელი **No4**

გამოცემაში ნახავთ:

„ანტი მასოსური პროპაგანდის საფუძვლები“

მაოსნობა რელიგიაა?

მასონობა და საქართველოს რელიგიური ტრადიციები

მასონობა და რელიგია

თანამედროვე ჯადოქრობა

საქართველოს დიადი ლოჟა

ელ-ფოსტა: info@glg.ge

ვებ-საიტი: www.grandlodge.ge

Facebook გვერდი

https://www.facebook.com/GrandLodge.ge/

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი უმცროსი გუშაგი ფრიად ღირსეული ძმა ვახტანგ გ∴ „ანტი მასოსური პროპაგანდის საფუძვლები“

მასონური ორდენი არ არის საიდუმლო ორგანიზაცია, ეს არის ადამიანთა ერთობა, საძმო, რომელსაც საკუთა-რი, პირადი, პრივატული „შიდა სამზარეულო“ გააჩნია, პატარ - პატარა საიდუმლოებები, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერ ორგანიზაციას, ოჯახს, ადამიანს და ა.შ. პრივატულობა დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების საბაზისო უფლებაა! აბსოლუტიზმის და დიქტატურის მომხრეებს სურდათ დემოკრატიისა და ინდივიდუალური უფლებების მოსპობა, თვლიდნენ რა ... (გაგრძ.)

გაგრძ, გვ.2

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი უმცროსი გუშაგი ფრიად ღირსეული ძმა ვახტანგ გ∴

„ანტი მასოსური პროპაგანდის საფუძვლები“

მასონური ორდენი არ არის საიდუმლო ორგანიზაცია, ეს არის ადამიანთა ერთობა, საძმო, რომელსაც საკუთა-რი, პირადი, პრივატული „შიდა სამზარეულო“ გააჩნია, პატარ - პატარა საიდუმლოებები, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერ ორგანიზაციას, ოჯახს, ადამიანს და ა.შ. პრივატულობა დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების საბაზისო უფლებაა! აბსოლუტიზმის და დიქტატურის მომხრეებს სურდათ დემოკრატიისა და ინდივიდუალური უფლებების მოსპობა, თვლიდნენ რა, რელიგიას მათი აბსოლუტური მართველობის განმტკიცებისა და შენარჩუნების ერთადერთ გარანტად, ხოლო მოაზროვნეებსა და განათლებას - მათი რეჟიმების (ბარაქისა და ქონების, უდარდელი ცხოვრებისა და მომავლის) უდიდეს საფრთხედ. თავის მხრივ თავისუფლების მოყვარულებს, განათლებულ და მოაზროვნე ადამიანებს სურდათ და დღესაც სურთ, დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, განვითარება და თავისუფლების განმტკიცება. დემოკრატია ვერ იარსებებს რელიგიური თავისუფლების გარეშე! მრავალი ფუნდამენტალისტი აყვირდება - მაშ, არ გვინდა დემოკრატია, არც ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც პროგრესული სამყაროს სტაბილუ-რი და მდგრადი განვითარების გარანტია, ჩვენ ხომ ჩვენი კულტურა, ტრადიცია და „ჩვენი მე-ობა“ გაგვაჩნია! იმას კი ვერ ხვდებიან, რომ სწორედ დემოკრატიის პირობებშია დაცული ინდივიდის და საზოგადოების ყველა უფლება, ტრადიცია და ღირებულება. თავისუფლება არ ნიშნავს ანარქიას, მისი შეზღუდვა არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ რაიმე ფორმით დაიცვა საკუთარი თვითმყოფადობა. დემოკრატიის შეზღუდვა, თუნდაც რომელიმე ერთ ასპექტში, ერთი მიმართულებით, დიქტატურის მომასწავებელია, სადაც შეზღუდვები გაცილებით მეტ მიმართულებებზე გავრცელდება, ვიდრე საწყის ეტაპზე ვინმეს ეგონა!

კათოლიკური ეკლესიისთვის მასონები წარმოადგენდნენ ინტელექტუალურ კასტას, რომელსაც თავისი ნიჭით, შემოქმედებით და ავტორიტეტით შეეძლოთ შუასაუკუნეებში და რენესანსის ხანაში აბსოლუტიზმის არეალში მყოფი რომისეკლესიის ძალაუფლების შერყევა. თუნდაც იმიტომ, რომ შეეძლოთ დაესვათ შეკითხვა "რატომ", რაც უკვე იმ პერიოდშიმკრეხელობა იყო, ამასთანავე კათოლიკური ეკლესია შიშობდა, რომ თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა შეარყევდა იმწყობას, რომლის მეშვეობითაც ეს ინსტიტუცია მდიდრდებოდა ... ინკვიზიციის დაფუძნებისა და ტამპლიერების დარბევის შემდგომ, კათოლიკური ეკლესია იწყებს აქტიურ ბრძოლას ყველასთან და ყველაფერთან, რაშიც ხედავდა საფრთხეს მისი აბსოლუტური ძალაუფლებისა. საფრთხეში ეკლესია მოიაზრებდა მეცნიერებსაც - კოპერნიკი, ბრუნო და გალილეო ამის ნათელი მაგალითებია. მათი მეცნიერული კვლევები და ნააზრევი, რომ დედამიწა იყო მრგვალი და თან ტრიალებდა მზის გარშემო - იყო ერესი! მხოლოდ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში აღიარა კათოლიკურმა ეკლესიამ, რომ „შეცდა“ ბრუნო რომ კოცონზე დაწვა... მე-13-16-ე საუკუნეებში ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ეპოქისგან განსხვავებული აზროვნების წარდგენას საზოგადოებისთვის, მიუღებელნი იყვნენ კათოლიკური ეკლესიის და ბევრი ევროპული სამეფო ოჯახისთვის.

ეკლესია ამ ადამიანებში საკუთარი აბსოლუტური მმართველობისათვის და შეურყეველი ავტორიტეტისათვის უდიდეს საფრთხეს ხედავდა. გალილეო, და ვინჩი, ნიუტონი და სხვები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ცდილობდნენ გარდატეხა მოეხდინათ შუა საუკუნეების სქოლასტიკურ პერიოდში, ადამიანთა ხედვასა და აზროვნებაში. მათი უმეტესობა იყო მორწმუნე, ღვთის მოსავი ადამიანი, თუმცა ინკვიზიცია მათ სასტიკად ებრძოდა, როგორც სარწმუნოების მტრებსა და მოღალატეებს. კათოლიკური ეკლესიის ასეთი პოზიცია გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ, მასონები, ვამბობდით და ვამბობთ: ყველა ადამიანი ღვთის შვილია, ყველა ღმერთისგან წარმოიშვა და ყველა ადამი-ანი ღვთის წიაღში დაბრუნდება.

კათოლიკური ეკლესია კი ამბობს სიტყვასიტყვით, რომ ღმერთთან მიგიყვანთ მხოლოდ წმინდა რომის კათოლიკურიეკლესია. ეს ძალაუფლებაზე ეკლესიის პრეტენზიაა -

მხოლოდ მას აქვს უფლება ღმერთთან ადამიანის მიყვანისა და ამიტომ მიგვიჩნევს ის ჩვენ „კონკურენტად". ჩვენ კი არ ვართეკლესიის კონკურენტები! ყოველ ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს თავისი რწმენა. ყოველი ადამიანი, ღვთის შვილია და ეს ფორმულა კათოლიკურ ეკლესიას არ მოსწონს და ამიტომაც არ მოსწონს თავისუფალი მასონობა.

მასონისთვის უმთავრესი უმაღლესი არსების - შემქმნელის რწმენაა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი (კათოლიკური ეკლესიის წაქეზებით) აკრიტიკებს სწორედ ამ ცნებას - რატომ არ არის დაზუსტებული თუ „რომელი" ღმერთი იგულისხმება, ვის გულისხმობენ მასონები სამყაროს დიად არქიტექტორში?! პასუხი ცალსახად ერთია და ბევრისთვის ნათელი - ღმერთი, როგორც ყველაფრის არსებულის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, არის ერთი! საძმოში გაწევრიანებული მამაკაცები სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას მიეკუთვნებიან და ერთი, უნივერსალური ღმერთი არის ამ ადამიანებისთვის საერთო და აღიარებული. სწორედაც, რომ ღმერთია ყოვლისშემძლე და ნამდვილად დია-დი არქიტექტორი, რომელმაც შექმნა სამყარო, ადამიანი და ყველაფერი დანარჩენი ამ სამყაროში!

მასონობა არ არის რელიგია და არც არასოდეს ჰქონდა და/ან ექნება მსგავსი პრეტენზია! მასონობა არის მამაკაცებისსაძმო, რომელსაც გააჩნია საკუთარი მორალური პრინციპები და ეფუძნება ალეგორიულ და სიმბოლურ რიტუალებს, მუშაობსსაკუთარი თავისა და გარშემომყოფთა გასაუმჯობესებლად. თავისებური ცხოვრების ფილოსოფიაა!

დავუბრუნდეთ კათოლიკური ეკლესიისა და მასონური ორდენის ურთიერთობის ისტორიას. გახსოვთ, თუ როგორ იღვიძებდა რენესანსის ხანაში ევროპა, როგორ შედიოდა განმანათლებლობის ხანაში. თუ როგორ იღვიძებდა ხალხი, როგორ იწყებოდა რევოლუციები თავისუფლების, თანასწორობისა და ღირსეული განვითარების სურვილით! მაგ. სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე რევოლუციებმა კათოლიკურ ეკლესიას დაუკარგეს არა მარტო ტერიტორიები, არამედ, დიდძალი შემოსავალი ვერცხლსა და ოქროს სახით, რომელსაც წმინდა საყდარი სისტემატიურად იღებდა სამხრეთ ამერიკიდან, ამას დაემატება რევოლუცია საფრანგეთში და იტალიის გაერთიანება, რომელიც მასონების მიერ იყო მხარდაჭერილი. სწორედ კათოლიკური ეკლესიის „წყალობით" მოხდა რიგი მასონური იურისდიქციის (არ დაგავიწყდეთ, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი იურისდიქცია, საკუთარი მასონური სტრუქტურა, რომელიც არ არის მსოფლიო ერთიამ სტრუქტურაში გაერთიანებული, ვინაიდან ასეთი არ არსებობს, შესაბამისად ავტონომიური და დამოუკიდებელია საკუთარ გადაწყვე-ტილებებში) განსაკუთრებულად ანტაგონისტურად განწყობა არა მარტო ვატიკანისადმი, არამედ, ზოგადად რელიგიისადმი.

ამ „შერკინებამ" თავისუფლებასა და დიქტატურას შორის, რიგ მასონებში იდეური ტრანსფორმაცია გამოიწვია, რაც უარყოფითად თვით მასონობისათვისაც აისახა. მაგ. 1877 წელს საფრანგეთის დიდმა აღმოსავლეთმა, რომელიც აღიარებული და რეგულარული დიადი ლოჟა იყო საფრანგეთში, მოაშორა სიმბოლო, რომელიც შემქმნელის, დიადი არქიტექტორის, ღმერთის აღმნიშვნელი იყო, უფრო მნიშვნელოვნად სინდისის თავისუფლების პრინციპი გამოაცხადა და ლოჟის კარიათეისტებისთვის გააღო. აღარ იყო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ღმერთისა და სულის უკვდავების რწმენა! ამგადაწყვეტილებამ, საფრანგეთის დიდი აღმო-სავლეთი, გამოთიშა რეგულარული მასონური მიმართულებიდან.

იტალიურ ლოჟებში, უკვე მე-18-ე საუკუნეში შესაძლებელი იყო ერთად გეხილათ ებრაელი, კათოლიკე და პროტესტანტი, რაცკათოლიკური ეკლესიისათვის ერეტიკულობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ამასთანავე, ლოჟის წევრები იყვნენ განმანათლებლები, დეისტები, რაციონალისტები. 1738 წელს, ფაქტობრი-ვად ბრმა რომის პაპმა კლიმენტი მეთორმეტემ, კარდინალების მიერ მომზადებული ბულა „In Eminenti" გამოსცა, რომელშიც მკაცრი და ნეგატიური შეფასება მისცა მასონურ ორდენს და განაჩენი გამოუტანა მასონებს. მათ იჭერდნენ, სამუდამო პატიმრობაში უშვებდნენ ან ხოცავდნენ, განკვეთდნენ ეკლესიიდან. კათოლიკურ ეკლესიას მასონების სიძულვილი, განსაკუთრებით მას შემდეგ გაუღვივდა, რაც საფრანგეთში მოხდა რევოლუცია, ნაპოლეონმა "გაათავისუფლა" იტალია და განდევნა პაპი. მანამდე, რომის პაპის ძალაუფლების წინააღმდეგ მებრძოლი იტალიური სახელმწიფოების საპირწონედ, ვატიკანი სწორედ ფრანგულ არმიას იყენებდა, რომელიც ბურბონების დინასტიის სამსახურში იდგა. რევოლუციის შემდგომ კი, რომის პაპი საბოლოოდ დაამარცხა იტალიელმა ხალხმა და ის ტოვებს რომს. იტალიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა სწორედ მასონებთან არის პირდაპირ დაკავშირებული. იტალიის ვიცე მეფე და ამასთანავე, იტალიის დიადი ოსტატი, ნაპოლეონ ბონაპარტეს შვილობილი, ეჟენ ბოგარნე იყო. სწორედ მისი და მასონური ორდენის ინიციატივით, მოხდა იტალიის ერთიან სა-ხელმწიფოდ გაერთიანება, რაც იტალიელი ხალხის დიდი სურვილი და ოცნება იყო. ნაპოლეონის განდევნის და რომში პაპის დაბრუნების შემდგომ, 1814 წლიდან, იტალიელ მასონებს მოუწიათ, ოფიციალური მუშაობის შეწყვეტა და იატაკქვეშეთში გადასვლა.

მხოლოდ მე-19-ე საუკუნის ორმაცდაათიან წლებში დაიწყო საძმოს ეტაპობრივი აღორძინება იტალიაში. 1861 წელს ტურინის „ავზონიას“ ლოჟიდან შეიქმნა ტურინის დიადი აღმოსავლეთი, დაფუძნდა შოტლანდიური წესდების ლოჟა „კაპიტულარე დანტე ალიგიერი“, პალერმოს დიდი აღმოსავლეთი, რომლის დიდი ოსტატი ჯუზეპე გარიბალდი გახლდათ. 1869 წელს, რომში ჩატარდა კონგრესი, რომელზეც 150 ლოჟა იყო წარმოდგენილი, შეიქმნა ერთიანი ლოჟა - იტალიის გაერთიანებული დიადი აღმოსავლეთი, რომლის დიდი ოსტატი ჯუზეპე მაძინი გახდა. დღეს იტალიაში რამდენიმე რეგულარული მასონური მორჩილებაა.

გარიბალდი სიცილიის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და იტალიის მოქალაქეებთან ერთად იწყებს, რომის პაპის ძალაუფლების შეზღუდვას, უფრო სწორად, იტალიელი ერი იბრძვის იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ერთიან, სუვერენულ და სეკულარულ რესპუბლიკად. პაპი რომში გამოიკეტა, მას კვლავ ფრანგული, ავსტრიული და სხვა ქვეყნების დაქირავებული ჯარები იცავენ. თუმცა, საფრანგეთი - პრუსიის ომის გამო, რომის პაპი მარტო რჩება და რომში შედის იტალიის განმათავისუფლებელი არმია. ტარდება საყოველთაო პლებისციტი და რომის მოსახლეობის სრული უმრავლესობა ხმას აძლევს თავისუფლებას, რესპუბლიკას და გაერთიანებას. პონტიფიკი ხდება მხოლოდ რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლი და კარგავს მის აბსოლუტურ ძალაუფლებას! წლების შემდგომ, რომის პაპი და კათოლიკური ეკლესია არ ივიწყებ, რომ იტალიის გაერთიანება, ეკლესიის აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვა და პაპის ვატიკანში „გამოკეტვა“ მასონების „დანაშაულებრივი ქმედება იყო“.

პაპები პიი IX და ლეო XIII „ოცდაცამეტთა“ ორდენში „დექრისტიანიზაციის ჩანასახს“ ხედავდნენ და ამის „აღსაკვეთად“ 1884 წელს ბულა „Humanum Genus” და 1892 წელს ბულა „Inimica Vis” გამოსცეს, რომელშიც მასონობა წარმოადგინეს, როგორც სექტა, რომელიც ტოლერანტობისა და ყველა რელიგიის პატივისცემის „ნიღაბის“ ქვეშ, „ევანგელიზმისა და რევოლუციის იდეის გაერთიანების სურვილს მალავდა“. ეკლესია ვერ პატიობდა მასონებს, რომ მათ გამო დაკარგა საკუთრება, შემოსავალი, სტატუსი, აბსოლუტური მმართველობა, რომ ეკლესია ვეღარ აკონტროლებდა არმიას, სასამართლოს, ციხეებს, გადასახადების დადგენასა და აკრეფვას! ლეო XIII-ის ბულით (1884) ყველა არა-კათოლიკე გამოცხადდა სატანისტად, მათ ლიდერებად კი თავისუფალი მასონები იყვნენ შერაცხულნი! ეკლესია ებრძოდა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. სიტყვის თავისუფლება ხალხს აძლევდა ეკლესიის გაკრიტიკების საშუალებას, შეკითხვების დასმის შესაძლებლობას, სიმართლისა და ჭეშმარიტების ძიებას, ა.შ. ეკლესია თვლიდა, რომ მასონების შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკლესია და სახელმწიფო უნდა იყოს გამიჯნული, იყო „სატანისტური“ და ყოვლად მიუღებელი, მიუხედავად იმისა, რომ მოსონთა მოსაზრებას მოსახლეობის უმრავლესობაც იზიარებდა!

ნავთი ცეცხლს კი ფრანგმა ჟურნალისტმა გაბრიელ ანტუან ჟო-გან - პაჟემ დაასხა, რომელმაც ლეო ტაქსილისფსევდონიმით წლების განმავლობაში ბეჭდავდა ბინძურ სტატიებს, ჯერ რომის პაპზე, ხოლო შემდგომ, როდესაც გადავიდა კათოლიკური ეკლესიის ბანაკში - მასონურ ლოჟებზე. ლეო ტაქსილი მხოლოდ სამი თვე იყო მასონური ლოჟის წევრი პარიზში, საიდანაც იგი გარიცხეს. გამომდინარე იქიდან, რომ მან მასონური ორდენის შესწავლა „ჯეროვნად“ ვერ მოასწრო, იგი თავის სტატიებისათ-ვის იგონებდა და თხზავდა ისტორიებს საკუთარი ბინძური ფანტაზიიდან. ასე მოიგონა მან „სატანური ორგიები“, „სატანის ქალიშვილის“ არსებობა და ყველასთვის „ცნობილი“ ბაფომეტი. მისი წიგნები დღევანდელ ენაზე, რომ ვთქვათ, ბესტსელერს წარმოადგენდნენ. ლეო 11 წელი ავრცელებდა ამ ცრუ ცნობებს და ამით ფულს შოულობდა. ასე, ქალაქ ტრიენტეში, ფასიანი ბილეთების შეძენის საფასურად, დამსწრე საზოგადოებას „ეშმაკის ქალიშვილი“ წარუდგინა. მას აქტიურ მხარდაჭერას უწევდა რომის კათოლიკური ეკლესია. „ორი ლეო“ ერთმანეთს შეხვდნენ კიდეც, პაპმა მწერალს მადლობა გადაუხადა თავგამოდებული მუშაობის გამო და რა თქმა უნდა, ფინანსურადაც დააჯილდოვა. პაპს წინ სიურპრიზი ელოდა - 1897 წელს, ლეომ პარიზში უამრავი მომხრე, მკითხველი, ჟურნალისტი და სასულიერო პირი შეკრიბა და გამოუცხადა, რომ ყველა მისი განცხადება და მასონების „მხილება“ იყო სიცრუე და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი. სამწუხაროდ, მისი ამ განცხადების გაკეთების შემდგომაც კი, მასონური ორდენი კვლავ ზარალდებოდა იმ ცრუ ფანტაზიებისაგან, რომლებსაც ლეო წლების განმავლობაში თესავდა.

კათოლიკური ეკლესია საკუთარი ძალაუფლების უკან დასაბრუნებლად არ მოერიდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მონაწილე რეჟიმების მხარდაჭერასაც. ბენიტო მუსოლინიმ ჰიტლერზე ადრე დაიწყო მასონების დევნა. 1925წლიდან იტალიელ მასონებს ისევ ურთულესი ხანა დაუდგათ, მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი სასტიკად უსწორდებოდა მათ: მასონებს აპატიმრებდნენ, ხოცავდნენ და სპეციალურ ბანაკებში ანაწილებდნენ.

1929 წელს მუსოლინის ფაშისტური მთავრობა და რომის კათოლიკური ეკლესია აფორმებს კონკორდატს, რითიც ეკლესიას კვლავ დიდი ძალაუფლება, რესურსი და გავლენა დაუბრუნდა, სანაცვლოდ კი კათოლიკეები მუსოლინის ახალ რეჟიმს უჭერდნენ მხარს. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ მრავალი რელიგიური ლიდერი თავის ჭკუით აკეთებს იმას, რასაც თვლის ჭეშმარიტ ღვთის სამსახურად და უფლის ნების აღსრულებად. ეს რელიგიური ლიდერები არწმუნებენ მათ მიმდევრებს, რომ მხოლოდ ერთი, მათი, რელიგიაა ჭეშმარტი და სხვა რელიგიებზე მაღლა დგას, ყველა სხვა მწვალებელია და არ ესმის ღმერთის ჭეშმარიტი სიტყვის.

არსებობენ ფუნდამენტალისტი მუსლიმები, კათოლიკები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები, იუდეველები, ა.შ. ყველა ცდილობს კონტროლის და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მასების მართვას. მსგავსი ფუნდამენტალისტების გამარჯვების რეზულტატს ვხედავთ შიიტურ - მუსლიმურ რევოლუციის შედეგად მიღებულ ირანის ისლამური რესპუბლიკის რეჟიმში. თეოკრატები აცხადებენ, რომ ყველა ვინც არ არის „ჭეშმარიტი მუსლიმი“, სატანისტია! თუ რა სიტუაციაა ირანში, ქართველებმა კარგად უნდა ვიცოდეთ, ვინაიდან ბევრი ირანელი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და გვაქვს საშუალება მათგან მივიღოთ ობიექტური ინფორმაცია.

სწორედ იგივე „ჭეშმარიტი რწმენის“ დასაცავად შექმნა მე-13-ე საუკუნეში კათოლიკურმა ეკლესიამ ინკვიზიცია, რომელსაც მარტო 300 000 მეტი ქალი შეეწირა, „ჯადოქრობის ბრალდებით“, დღეს კი, ამავე „ჭეშმარიტი რწმენის“ სახელით ახლო აღმოსავლეთში შექმნილია უამრავი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ხოცავს ყველას ვინც არ იზიარებს მათ, ერთადერთ და ჭეშმარიტ, „რწმენას“.
კათოლიკური ეკლესია აქტიურად თანაშრომლობდა ფაშისტურ გერმანიასთან, რომელმაც არამარტო 5 მილიონზე მეტი ებრალი, ათიათასობით ბოშა და საკუთარი სხვა მოქალაქე იმსხვერპლა, არამედ გამიზნულად დასდევდა და ანადგურებდა მასონებს, საკუთრივ გერმანიასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მასონების განადგურებით აღმოსავლეთშიც იყვნენ დაკავებულნი, კომუნისტები, რადგან ერთი რელიგიის ნაცვლად შექმნეს მეორე - ბელადისა და პარტიის კულტი.ნებისმიერ კულტსა და აბსოლუტურ დიქტატურას კი არ აწყობს თავისუფალი აზრი, თავისუფალი სიტყვა და განათლებული ადამიანების მონაწილეობა დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ანტი-მასონური პროპაგანდა „გაიშალა“, მას დაემატა ახალი გამოგონილი „ფაქტები“ და მოგვიანებით ტექნიკური საშუალებები „დაიხვეწა“, მაგრამ სწორედ კათოლიკური ეკლესიის მიერ აგორებული ტალღიდან და შეთითხნილი საქმეებიდან არის დღეს შექმნილი ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება საზოგადოების გარკვეულ ფენებში მასონებისადმი.

არადა, მასონობა არასოდეს ყოფილა სახელმწიფოს, საზოგადოების და ეკლესიის მტერი, პირიქით, მასონური კონსტიტუცია და მორალურ - ეთიკური კოდექსი პირდაპირ და ნათლად მიუთითებს ყველა მასონს, რომ უპირველესი სახელმწიფოს, ოჯახის და რწმენის ინტერესებია და მხოლოდ შემდგომ ორდენის, ვინაიდან, თუ სახელმწიფოში, ოჯახში და რწმენაში ადამიანს, მამაკაცს არ აქვს ჰარმონია, მაშინ ორდენშიც ის დისჰარმონიულად იქნება წარმოდგენილი და ვერ იქნება თავისუფალი, ლაღი და ადეკვატურად ძმებთან ინტეგრირებული.

∴∴∴



საქართველოს დიადი ლოჟის დიადი მჭევრმეტყველი ფრიად ღირსეული ძმა ლევან ჯ.·.

მაოსნობა რელიგიაა?

მასონობა არ არის და ვერც იქნება რელიგია! რაც მთავარია მასონობას არც სურს, რომ იყოს რელიგია! მასონობას ბრალს სდებენ იმაში, რომ ცხონებისთვის სთავაზობს „კეთილი საქმის კეთებას“, „სიკეთისთვის მუშაობას“ და ღმერთისკენ ამ გზით სვლას. მასონობა არავის სთავაზობს ან ასწავლის ცხონების შესაძლებლობას, ასევე, მოგონილია, რომ მასონობა ვინმეს მიუთითებს, თუ როგორ იაროს მან ღმერთისაკენ. ეს ინდივიდუალური პირადი რწმენის და რელიგიური ინსტიტუტის ფუნქციაა. მასონობა არ არის რელიგია, ლოჟის შიგნით თქვენ მხოლოდ ერთ „რელიგიურ“ ატრიბუტს შენიშნავთ - ეს წმინდა კანონთა კრებულია (ბიბლია, ან მასთან ერთად - თორა ან ყურანი, ან სამივე ერთად). აშშ-სა და ინგლისში მეფე ჯეიმსის ბიბლიისვერსიას იყენებენ ან რიგ შემთხვევაში „მასონურ ბიბლიას“, მაგრამ „მასონური“ ამ ბიბლიაში მხოლოდ ის არის, რომ წინასიტყვაობა აქვს, რომელშიც მასონური ორდენის ისტორია და წარმოშობაა აღწერილი.

მოკლედ, გააჩნია, ლოჟა რომელ ქვეყანაში და საზოგადოებაში ფუნქციონირებს, მაგ. საქართველოში წმინდა კანონთა კრებული ლოჟაში ბიბლიაა, ვინაიდან ქართულ ლოჟათა უმეტესობა მუშაობს უძველეს და მიღებულ შოტლანდიურ რიტუალში, ამასთან, შეიძლება იყოს წარმოდგენილი თორა და ყურანი, განდობის ცერემონიის დროს. მასონობა არ არის რაიმე სახის დამოუკიდებელი რელიგია, სექტა, რელიგიური ინსტიტუტი ან ორგანიზაცია, ის არ ასწავლის, თუ რა არის სამოთხე ან ჯოჯოხეთი, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ მიხვიდე შემქმნელთან, რა არის ცხონება, ა.შ. მასონობა უბრალოდ ცხოვრების წესია, განმანათლებლობა...

მასონებისადმი არსებული ბრალდებები ზედაპირულია, ვერც ერთი რელიგიური ორგანიზაცია სიღრმისეულად ვერ ხსნის თუ რატომ ეწინააღმდეგება მასონურ ორდენს. ანტი მასონურ არგუმენტების ჩამონათვალში კათოლიკური ეკლესია ასახელებს ალბერტ პაიკის შრომებს.

ალბერტ პაიკთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით მრავალი ტყუილ - მართალი ამბავი, ისტორია და ჭორი დადის. იგი 1809 წელს, მასაჩუსეტში დაიბადა, სკოლიდანვე სწავლობდა ლათინურს, ძველ ბერძნულსა და ივრითს. ჩააბარა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც 2 წლის საბაკალავრო კურსი ერთ წელიწადში დახურა, თუმცა, შემდგომში ვეღარ შეძლო უნივერსიტეტის სწავლის მაღალი საფასურის გადახდა. იგი მასაჩუსეტსიდან არკანზასში გადადის, სადაც პედაგოგიურ და საგამომცემლო საქმიანობას ეწევა. მოგვიანებით, ის იურისპრუდენციას ეუფლება და შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეც ხდება. 1846 წლიდან კი, მისი სამხედრო კარიერა იწყება. 1850 წლიდან პაიკი არკანზასის ერთ-ერთ ლოჟაში ინიცირებას გაივლის და იორკული წესის დამატებით ხარისხებსაც იღებს. 1853 წელს იგი ჩარლსტონში მიემგზავრება, სადაც უძველესი და მიღებული შოტლანდიური წესდების 32-ე ხარისხის მიღების შემდგომ არკანზასის შოტლანდიური წესდების ინსპექტორის მოადგილედ ინიშნება. ამ პერიოდისათვის შოტლანდიური წესდება საკმაოდ მცირერიცხოვანია (სავარაუდოდ ათასამდე წევრი). 1859 წლის იანვარში, ალბერტ პაიკი შოტლანდიური წესდების სამხრეთ მასონური იურისდიქციის ხელმძღვანელი ხდება, ცხოვრების ბოლომდე - 1891 წლამდე.

1862-1868 წლებში, პაიკი მიდის ოზარკის მთებში, სადაც ის, მთელი ეს პერიოდი, ცხოვრობს მარტო, სწავლობს ჰერმეტიკას, ალქიმიას, კაბალას, აღმოსავლურ ხელნაწერებსა და ფილოსოფიას. ამავე პერიოდში იგი ამუშავებდა და ანვითარებდა შოტლანდიურ რიტუალს, დასავლური ეზოთერიკული ტრადიციების კვალდაკვალ. მუშაობის დასრულების შემდგომ, იგი მიემგზავრება ქ. ვაშინგტონში და გადასცემს მის ნაშრომებს შოტლანდიური წესდების უმაღლესს საბჭოს.

ამავე პერიოდში, ელიფას ლევი 1855 წელს ჰქმნის მისეულ თეორიას - იგი აკავშირებს ძველ ეგვიპტურ ღმერთს (თხის გამოსახულებით), ხუთქიმიან ვარსკვლავთან და სწორედ მასზე საუბრობს როგორც ბაფომეტზე. მოგვიანებით, ალბერტ პაიკი, მოექცა ლევის გავლენის ქვეშ და ასევე უკავშირებდა ამ ორ სიმბოლოს ერთმანეთს, მაგრამ კვლევის და ზოგადად ცხოვრების ბოლოს სხვა დასკვნამდე მივიდა, რაც უკვე ვიწრო წრემ იცის. მეცნიერული კვლევა და ობიექტური რეალობა ნაკლებად საინტერესო ნაწილია ობივატელისთვის... რაც ეხება ბაფომეტის მასონებთან "მიწებებას", ეს ყველაფერი ლეო ტაქსილის მოღვაწეობის შედეგია. ის საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა ალბერტ პაიკის ფსევდო გამოცემებს (ანუ გამოცემებს, რომელიც რეალურად ალბერტ პაიკს არც კი ეკუთვნოდა) და ამონარიდებს, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ტექსტებს, იმისათვის, რომ ხალხი დაერწმუნებინა მის სიმართლეში.

ანტი - მასონები უპირველეს ყოვლისა იყენებენ ალბერტ პაიკის „მორალი და დოგმა“-ში პაიკის მიერ ნახსენებ „ლუციფერს“, როგორც მტკიცებულებას იმისა, რომ პაიკი - შოტლანდიური წესდების 33-ე ხარსხის მასონი, ღიად საუბრობდა ლუციფერზე, როგორც „სინათლის მომტანზე“, სინათლის ანუ „განათლების“.

აქ მოვითხოვ თქვენს ყურადღებას - უპირველეს ყოვლისა, ინგლისურენოვან თარგმანში მეფე ჯეიმსის ბიბლია შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა აღმოსაფხვრელად გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მუშაობდა სპეციალური ჯგუფი. საინტერესოა, რომ ლუციფერი სწორედ ბიბლიის ამ ვერსიის ძველი აღთქმის მეთოთხმეტე თავში „ჩნდება“, ისაიას წიგნში, როგორც აჯანყებული და სამოთხიდან ჯოჯოხეთში განდევნილი ანგელოზების წინამძღოლი, ანუ სატანა. მაგრამ, ალბათ ბევრი მორწმუნე და ბიბლიის მიმდევარი არც კი დაფიქრებულა იმაზე, რომ ლუციფერი ლათინური სიტყვაა და ის ვერ იქნებოდა ბიბლიის ორიგინალურ ტექსტში! დაინტერესებულმა მკითხველმა, რომ გადაამოწმოს ბიბლიის ეს მონაკვეთი, ებრაულ ორიგინალთან, უცნაურ ფაქტს გადააწყდება - ძველი აღთქმის ისაიას წიგნის მეთოთხმეტე თავში საუბარი სულაც არ არის დაცემულ ანგელოზზე, არამედ თავი მოგვითხრობს ბაბილონელ მეფეზე, რომელიც ებრაელების დევნით იყო „გართული“ მთელი მისი მეფობის პერიოდი. იგი ფაქტობრივად გენოციდს უწყობდა ებრაელებს და გამოირჩეოდა სისასტიკით. სატანაზე საუბარი საერთოდ არ არის. ფაქტია, რომ თარგმნის დროს საუკუნეების წინ ვიღაცამ მოინდომა და „თვითნებურად“ შეცვალა ამ თავის შინაარსი, „ფაშისტი“ მეფე „ამოაგდო“ და მის ნაცვლად ალეგორიული დატვირთვით, თუ პრაგმატული გათვლით ჩასვა სატანა და მას შეარქვა ლუციფერი. რატომ ლუციფერი? რომაულ ასტრონომიაში ლუციფერი დილის ვარსკვლავის სახელია, ანუ ვენერის, რომელიც ჩნდება ზეცაზე მზის ამოსვლამდე. ლათინურად, დილის ვარსკლავის - ლუციფერის სახელი, წარმოიშვა ტერმინ lucem ferre - დან, რაც „სინათლის მომტანს“ ან „სინათლის მატარებელს“ ნიშნავს. ბიბლიური ტექსტის ორიგინალში ზემოთხსენებულ ბაბი-ლონელ მეფეს ჰელალს, შაჰარის ძე-ს უწოდებდნენ, რაც თარგმანში „დღის ვარსკვლავს, განთიადის ძეს“ ნიშნავს. როდესაც კათოლიკე მეფემ ჯეიმს პირველმა დაავალა სწავლულთ ბიბლიის ინგლისურად თარგმნა, მათ არ გამოიყენეს ორიგინალი ებრაული ბიბლიის ტექსტი, არამედ დაეყრდნენ წმ. ჯერომის მიერ ლათინურად ნათარგმნი ბიბლიის ტექსტს, სწორედ იქ იყო უკვე ტერმინი „დღის ვარსკვლავი“ მეფის კერძო სახელის ნაცვლად, რომაულ - ლათინური „ლუციფერი“, თან უკვე, როგორც ზნედაცემული და სამოთხედან გამოდევნილი ანგელოზების მეთაური - სატანა.

როდესაც ალბერტ პაიკი საუბრობს „ლუციფერზე“ და მის გზაზე, ის საუბრობს სინათლის, ანუ განათლების მოტანაზე და სწორედ განმანათლებლობაზე, როგორც მომავლის გზაზე. არის ერთი მომენტი, ყველა ავტორს გააჩნია საკუთარი ენა, გადმოცემის საშუალება, შეიძლება ადამიანი იყოს კარგი მოსაუბრე, მაგრამ წერდეს გაურკვევლად, ბუნდოვნად ან პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ ალბერტ პაიკი საუბრობდა სწორედაც იმ „ლუციფერზე“, რომელიც „სინათლის მომტანია“, ანუ განათლების გამავრცელებელია (რაღაც კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ ლუციფერი პრომეთეც არის, ანუ ამირანი, ისიც სინათლის მომტანია კაცობრიობისათვის), მას უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მისი ყველა მკითხველი ვერ აღიქვამდა მის „ქარაგმებს“ ადეკვატურად და მის ნაწერს მოყვებოდა სწორედ ისეთი გაურკვევლობა, რაც მოჰყვა და კარგადაც გამოიყენა მრავალმა ანტი-მასონმა ავტორმა. ალბერტ პაიკის დროსაც იყო მრავალი ქრისტიანი, რომელიც არ იცნობდა ლათინურ ენას ან ბიბლიის ებრაულენოვან ორიგინალს და მისთვის „ლუციფერი“ იყო მხოლოდ ერთი - „სატანა“.

სწორედ ალბერტ პაიკსა და მის ნაშრომს - „მორალი და დოგმა“ -ს იყენებს შემდგომი პერიოდის ყოველი ანტიმასონი ავტორი, როგორც არგუმენტს იმისა, რომ ყველა მასონი ლუციფერის თაყვანისმცემელია. არადა, არც პაიკია ცოცხალი, რომ ამტკიცოს საპირისპირო, ხოლო მასები მსგავსი შინაარსის ერთ გამოცემას, რომ წაიკითხავენ, მერე ნაკლებად ეცნობიან კონტრ არგუმენტებს... ფაქტია, რომ პაიკის ეს ნაშრომი აბსოლუტურად ნეიტრალურია, მასში ასახულ მოცემულობებს, როგორც მასონი, შეიძლება დავეთანხმო ან არ დავეთანხმო, მაგრამ სულ ეს არის, ამაზე მეტი არაფერია, არანაირი სატანა, არანაირი სხვა ქვეკონტექტსები!

რაც მთავარია, ლეო ტაქსილმა დიდი ფინანსური სარგებელი ნახა და ალბერტ პაიკის „ლუციფერი“ საკუთარ ერთ-ერთ „ბრენდათ“ აქცია. გაბრიელ პაჟი (ტაქსილის ნამდვილი სახელი), ფინანსური მაქინაციების გამო ხან საფრანგეთში და ხან შვეიცარიაში იმალებოდა, ბოლოს ანტი-კათოლიკური პაფლეტებისა და სტატიების წერა დაიწყო, იქნებ და გაყიდვები გაეზარდა და ფული „ეშოვნა“. იმ იმედით, რომ ამ საქმეში მას მასონები დაეხმარებოდნენ ლეო ტაქსელი წევრიანდება მასონურ ლოჟაში (lodge Le Temple de L'Honneur Français), პარიზში, 1881 წელს. მისი გეგმების და მიზნების გამოაშკარავების შემდგომ იგი გაირიცხა ამ ლოჟიდან პირველივე საფეხურზე. ლეო ტაქსელი თვლიდა (არსებობს კონკრეტული მიმოწერაც), რომ მისი ანტი - კათოლიკური გამოსვლები და გამოცემები, მას პოპულარობას და ფინანსურ მოგებას ვერ მოუტანდა და იგი სამიზნის ძიებაში, განაწყენებული მასონურ ლოჟაზე, რომელმაც "მას ვერ გაუგო" გადაწყვიტა ახალი პუბლიკაციით მოეხვეჭა სახელი და ფინანსები. 1885 წლიდან, მან რამდენიმე ანტი-მასონური გამოცემა - პუბლიკაცია გამოსცა (მაგ. "The Three-point Brothers"; "The Anti-Christ" და "the Origin of masonry"; ასევე "The Cult of the Great Architect"; "Pius IX, Freemason?" და ბინძური წიგნი "The masonic Assassins"). რომის პაპის მრჩევლები პაპს ერთ ხმად უყვებოდნენ, რომ სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში მიმდინარე პროცესებზე, რევოლუციებზე, სახალხო აჯანყებებზე, სიტყვის თავისუფლების მოთხოვნაზე, საარჩევნო უფლების მოთხოვნაზე, დემოკრატიის ფასეულობებისა და პრინციპების განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე; თავისუფლების, თანასწორებისა და ადამიანის სხვა ძირეული უფლებების მოთხოვნაზე, პასუხისმგებლები იყვნენ სწორედ მასონები, მასონური ორდენი და რომ ეს მოასწავებდა კათოლიკური ეკლესიის მართველობის საბოლოო დაკნინებას, „რწმენის შესუსტებას“ და ეკლესიის როლის გაუფასურებას!

როგორც ზემოთ ვწერდი, ლეო ტაქსილმა 1897 წლის 19 პრილს, პარიზში, საჯაროდ გამოაცხადა, რომ გააბითურა ყველა, ამაზე ყველა იმ დროის გაზეთი 33 გვერდიან სტატიასაც აქვეყნებს შეხვედრის შემდგომ, მაგრამ ის ზიანი რაც მან მიაყენა მასონურ ორდენს არსად გამქრალა. დღესაც ხშირად შევხდებით იმ აბსურდულ ბრალდებებს, რომელიც სწორედ მისი შრომების საფუძველზე ისმის, თუმცა მან, ვინც ამ ბრალდებებს იმეორებს არც ის იცის, თუ ვის ნააზრევს და რას იმეორებს და არც ის, რომ ეს ბრალდებები, ცილისწამება იყო, რაც 120 წლის წინ თავად ამ ცრუ ბრალდებების ავტორმაც დაადასტურა საჯაროდ.

სწორედ ალბერტ პაიკის „მორალი და დოგმა“-ზე, ტამპლიერთა დაპატიმრების ბრალდებაზე და ლეო ტაქსილის “შრომებზე” დაყრდნობით, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს „მასონთა მხილების“ კამპანიით გამოჩნდა კიდევ ერთი ავანტიურისტი - პეტ რობერტსონი, წიგნით „ახალი მსოფლიო წესრიგი“!

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ იგივე სათაურით წიგნი გამოვიდა რობერტსონის გამოცემამდე რამდენიმე წლით ადრე, მაგრამ მაშინ მას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რობერტსონი კი გავლენიანი ადამიანია და მისი გამოცემა მაშინვე დაიტაცეს. პეტ რობერტსონი მედია მაგნატია, მილიარდერი, რომელსაც დიდი კაპიტალი გააჩნია. მას რამდენიმე ტელევიზია, გაზეთი და რადიო არხიც ეკუთვნის, სხვა უამრავი ბიზნესის გარდა. 1988 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატიც კი იყო. მან საკუთარი მიზნების მისაღწევად, რომელიც ახლა ამ გამოცემის განხილვის ინტერესს სცილდება, დაარსა პოლიტიკური პარტია - მოძრაობა „ქრისტიანული კოალიცია“ და სწორედ ამ კოალიციის დახმარებით გამოსცა პეტმა წიგნი „ახალი მსოფლიო წესრიგი“, სადაც ის საუბრობს მასონურ შეთქმულებაზე, მსოფლიო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, მანამდე კი ეროვნული მთავრობების განადგურებისა და ქრისტიანების ამოწყვეტის გეგმით!!! გეცნობათ ალბათ, ვინაიდან მრავალი ტექსტი თუ გადაკეთებული ვარიანტი ითარგმნა რუსულ და შემდგომ უკვე ქართულ ენაზე, ზოგმა ავტორმა და რიგმა სასულიერო პირმა უკვე „დაკარგა“ კიდეც რეალობის აღქმა და თვით წიგნის ავტორი მონათლეს მასონად, რომელიც აღსარებას აბარებს რატომღაც საზოგადოებას. სწორედ პეტ რობინსონის ამ წიგნის ირიბი შედეგია დღეს საქართველოში, რომ მასონობა ასეთი მიუღებელია, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, სწორედ ამ წიგნის ციტირებას ახდენენ ჩვენი რიგი სასულიერო პირები, ისე რომ არც თვითონ წიგნი წაუკითხავთ ორიგნალში და ვეჭვობ, არც მისი სრული თარგმანი. სიტყვასიტყვით იმეორებს ჩვენი ქართველი ნაკლებად განათლებული რიგი თანამოქალაქე რობერტსონის და შემდგომ უკვე მის მიერ „აყოლილი“ პირების ტექსტს, რომ მიჰყვე წიგნს, გეგონება დაიზეპირესო...

რობერტსონი წერს, რომ ამ მსოფლიო შეთქმულებაში მონაწილეობენ მასონები, გაერო, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკი, სხვადასხვა ბიზნესმენი და პოლიტიკოსი. რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ რობერტსონს საკუთარი საგამომცემლო სააგენტო და მედიის მრავალი საშუალება აქვს, მისი წიგნი „ახალი მსოფლიო წესრიგი“ საკმაოდ პოპულარული გახდა, გავრცელდა როგორც ბეჭდვითი მეთოდით, ასევე ელექტრონულად, სხვადასხვა ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში (უკვე სხვადასხვა ახალი ინტერპრეტაციებით) და სწორედ ამ წიგნიდან აღებული ტექსტი „ედება“ Youtube-ზე წარმოდგენილ „მამხილებელ“ ვიდეოებს, ისე რომ ბევრმა „ავტორმა“ არც კი იცის კონკრეტულად რომელი წყაროდან აქვს მას ეს ინფორმაცია.

რობერტსონი საუბრობს, რომ ალბერტ პაიკი ადარებდა ყოვლისმხედველ თვალს ძველ ეგვიპტურ ღმერთ ოსირისისრელიგიურ კულტში არსებულ ელემენტებს და თვლიდა, რომ სწორედ ამ კულტის თაყვანისცემის გამო ჰქონდა მასონობას მრავალი სიმბოლო „მიღებული". რობერტსონი ასევე საუბრობს აშშ-ის ეროვნულ ღერბზე, რომელიც ასევე ერთ დოლარიან კუპიურაზეა გამოსახული. ის დასძენს, რომ სწორედ ოსირისის და არა უფლის ყოვლისმხედველი თვალია გამოსახული კუპიურაზე და იქვე საუბრობს ლათინურ მოტოზე, რომელიც აშშ-ის დამოუკიდებლობის აქტის მიღების წლის (რომელიც გამოსახულია რომაული ციფრებით) და დაუსრულებელი პირამიდის გარშემო წრეზე არის წარმოდგენილი - „Annuit Coeptis" - ზემოდან და „Novus Ordo Seclorum" - ქვემოდან.

რობერტსონი ადგა და საკუთარი თარგმანი შესთავაზა საზოგადოებას - Annuit Coeptis – „ის შეწევნით გვიყურებს ჩვენს წამოწყებაში", სადაც „ის"-ში ოსირისს გულისხმობს და Novus Ordo Seclorum – „ახალი მსოფლიო წესრიგი". ანუ რობეტსონის „აზრით" ეს წარწერა გვეუბნება, რომ - „ოსირისი თავისი თვალით, მზერით და ყველანაირი შეწევნით უყურებს ახალი მსოფლიო წესრიგის" შექმნა - დამკვიდრებას. იქვე „აბუქებს" თუ რა შეიძლება იყოს ეს „ახალი მსოფლიო წესრიგი" და ამ ყველაფერში მთავარ დამნაშა-ვეებად მასონები გამოჰყავს.

სინამდვილე კი, რა თქმა უნდა განსხვავებულია - ვინც კი ლათინური ენის სპეციალისტია დაგიდასტურებთ, რომ Annuit Coeptisნიშნავს „დასაწყისის ჟამი/დრო", რაც სწორედ 1776 წელზე მიუთითებს, ანუ აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერის წელს. სიტყვა seclorum რომაელი პოეტ ვირგილიუსის დროს „თაობას" ან „ასაკს" ნიშნავდა, შემდგომ პერიოდში კათოლიკურმა ეკლესიამ ამ სიტყვას მხოლოდ ერთი „secular"- „სეკულარული" ანუ „დროებითი" -ს მნიშვნელობა დაუტოვა. თვით Novus Ordo Seclorum ნიშნავს „{შემდგომი} თაობების ახალ წესრიგს".

ანუ მოტოში მითითებულია - „ {1776} დასაწყისი ჟამისა, რომელსაც {შემდგომი} თაობებისათვის ახალი წესრიგი, {წყობა} მოაქვს". საიდან „გამოქექა" რობერტსონმა „მსოფლიო" გაურკვეველია, ვინაიდან ლათინურად „მსოფლიო" არის „mundus"!

თავის წიგნში რობერტსონი უფრო შორს მიდის ფაქტების დამახინჯებაში, საუბრობს „ნასესხებ" რიტუალზე, რომელიც მასონებმა ჩინურ საიდუმლო ორგანიზაცია „ჰუგის საზოგადოებისაგან" გადმოიღეს. „ტინ ტეი ჰუი" („ზეცისა და მიწის საიდუმლო საზოგადოება") არანაირ კავშირში არ არის მასონობასთან და ისტორიულ ქრონოლოგიაში გამორიცხულია, რომ მასონობას ამ ჩინური ორგანიზაციისაგან ესესხა რაიმე რიტუალი. ისე, დღეს ეს საიდუმლო ორგანიზაცია არსებობს, სახე შეცვლილი - ეს ცნობილი ჩინური „ტრიადებია"!

პეტ რობერტსონი ხშირად ციტირებს და იყენებს ქალბატონი ნესტა ვებსტერის 1924 წლის შოვინისტურ - ნაცისტურ გამოცემას „საიდუმლო საზოგადოებები", სადაც ავტორი საუბრობს „მსოფლიო შეთქმულებაზე", ოღონდ აქ დამატებით ფიგურირებენ ებრაელები, გერმანელი ბანკირები და ავბედითი აშშ-ის სარეზერვო ფედერალური ბანკი. შეთქმულების მიხედვით, მსოფლიოზე გაბატონების მიზნით, ფიგურირებს „საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთი" და „ბავარიელი ილუმინატები". ჩვენმა ძვირფასმა რობერტსონმა, რა თქმა უნდა, ეს პერსონაჟებიც გამოურია თავის წიგნში და შექმნა გარკვეული „მონსტრების კორპორაცია", რომელიც ლამობს ფინანსური და პოლიტიკური მეთოდებით სხვადასხვა სახელწმიფოს გარყვნას, ეროვნული მთავრობების განადგურებას, ქრისტიანობის მოსპობასა და მსოფლიო ბატონობის განხორციელებას. ამ შეთქმულებაში, როგორც ვახსენე მონაწილეობენ „მასონები", მათ შორის „საფრანგეთის დიადი აღმოსვლეთი" (რომელიც რეგულარული და აღიარებული მასონური სტრუქტურა 200 წელია რაც აღარ არის), ბანკირები, რომლებსაც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკს ხელმძღვანელობენ, „ბავარიელი ილუმინატები" და ებრაელები! სრული პალიტრაა ობივატელის აღელვებული გონებისთვის და ფანტაზიებისთვის! და ყველას ერთად რატომღაც სურს მაინცდამაინც ქრისტიანების „ამოჟუჟვა" და მსოფლიოზე გაბატონება! და ბუდისტებს, მუსლიმებს და სხვა რელიგიებს არაფერს „ვერჩით" ნეტა? თუ მათთან თანაცხოვრებით ვაპირებთ მსოფლიოზე ბატონობას...?! მე ახლა ვცდილობ ლაკონურად გადმოგცეთ, თუ რა აბდაუბდა წერია რობერტსონის „ახალ მსოფლიო წესრიგში". სწორედ ეს აბდაუბდა ისმის მერე ჩვენში, საქართველოში.

ილუმინატების საზოგადოება ჩამოყალიბდა ბავარიაში 1776 წლის 1 მაისს, მისი მამამთავარი იყო ადამ ვაისჰაუპტი. ილუმინატების ორდენი, აქტიურად უწევდა პოპულარიზაციას დეიზმს და ბევრი პრინციპი „გადმოიღო" მასონური ორდენიდან. განსხვავებით მასონებისგან, ამტკიცებდა, რომ ადამიანი როგორც ესეთი, ცუდი არ არის, მაგრამ მასზე უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო და რელიგია. თვითონ ვაისჰაუპტი იეზუიტი იყო, და „ილუმინატების ორდენი" აქტიურ ანტი-კათოლიკურ კამპანიას ეწეოდა. ორდენის დაფუძნებიდან წელიწად ნახევრის მერე, როდესაც ვაისჰაუპტმა ამოწურა „ადამიანური რესურსების" მოზიდვის სქემა (მან, როგორც ინგოლშტატის უნივერსიტეტის პროფესორმა, თავის ორდენში, ამავე უნივერსიტეტის ყველა პროფესორი, გარდა ორისა, გააერთიანა), იგი წევრიანდება მიუნხენის მასონურ ლოჟაში, საიდანაც (მოგვიანებით კი სხვა ლოჟებიდანაც) ბარონ ფონ ცვაკის დახმარებით, საკმაოდ ბევრი მასონი „გადმოქაჩა" მის „ილუმინატების ორდენში". მოგვიანებით მასონურმა ლოჟამ გაკიცხა ეს ორდენი და ყველა მისი წევრი, ვინაიდან ორდენის წევრები ამორალურ და უღირს ქმედებებს სჩადიოდნენ. ორდენი ძლიერდებოდა, თუმცა, 1784 წელს გაღვივდა კონფლიქტი ხელმძღვანელობაში, კონკრეტულად კი ბარონ ფონ კნიგესა და ვაისჰაუპტს შორის. 1787 წელს ბავარიის ხელისუფლება აცხადებს ბრძოლას ორდენის წინააღმდეგ, აცხადებს მას კანონგარეშე და მასში გაწევრიანების მსურველებს თავის მოკვეთით ემუქრება. რამდენიმე დაპატიმრებისა და დარბევის შემდგომ, ორდენი ჰკარგავს საკუთარ სიძლიერეს და იშლება. 1830 წელს ვაისჰაუპტი გარდაიცვალა ემიგრაციაში. 1896 წელს ორდენი აღდგა დრეზდენში, რისი ინიციატორები იყვნენ რუსეთში დაბადებული და გაზრდილი ლეოპოლდ ენგელი და ტეოდორ როისი. ილუმინატების ორდენთან ამ ახალ გაერთიანებას საერთო არაფერი ჰქონდა, გარდა სახელწოდებისა.., შემდგომში ტეოდორ როისი აფუძნებს სულ სხვა საიდუმლო საზოგადოებას - OTO – Ordo Temply Orienti -ოტო; ეს წყვილი ასევე აფუძნებს რამდენიმე ე,წ. „მასონურ" ლოჟას, ამასთან, ყველა ეს ორგანიზაცია სცდება ტრადიციულ მასონობას და არ იყვნენ აღიარებულნი ჭეშმარიტი მასონური სტრუქტურების მიერ.

ბავარიულმა ილუმინატების ორდენმა გადმოიღო მასონური იერარქია, რიგი ტრადიციები და რიტუალებიც. ორდენს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჰყავდა წარმომადგენელი, თუმცა საერთო რაოდენობა ორიათას წევრზე მეტი არასოდეს ყოფილა. სწორედ ილუმინატების „დამსახურებით" მოხდა საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთის „ჭეშმარიტი" მასონური გზიდან გადახვევა, როდესაც 1877 წელს უარი თქვეს შემქნელის სიდია-დეზე, მის და სულის უკვდავების რწმენის აუცილებლობაზე და ლოჟიდან მოაცილეს წმინდა კანონთა კრებული. საფრანგეთის დიადმა აღმოსავლეთმა კარი გაუღო ათეისტებს, ქალბატონებს, რითაც დაარღვია მასონური ორდენის ძირითადი პრინციპები.

ამ ბრალდებებს ემატება რიგი ფანატიკოსის ქაოტური და პანიკური, უმეტეს შემთხვევაში არასწორად და სუბიექტურად ინტერპრეტირებული და/ან გამიზნულად „წარმოჩინებული" საკითხები, როგორიც არის ციფრი „666"-ის ყველგან და ყველაფერში დანახვა, ეს ცნობილი „ჩიპების" და „ანტიქრისტეს ნიშნის" თემა, ა.შ. ყველა ეს თემა მიაწერეს მასონებს, რა მნიშვნელობა აქვს, ხომ მაინც ამდენი რამე „მიაწერეს" და ბარემ ესეც! მასონები ხომ არასოდეს პასუხობენ ამ ბრალდებებს და შესაბამისად მარტივია ისეთი ადამიანის დადანაშაულება, რომელიც თითქმის უკან არაფერს გპასუხობს, არის თავისთვის დინჯად და აგრძელებს წყნარად ცხოვრებას და პროგრესულ განვითარებას. ერთის მხრივ ეს კარგი ჩვევაა, მაგრამ მე ბოლომდე არ მივესალმები ამას, ვთვლი, რომ ყოველ ასეთ ავანტიურისტს მასონებმა საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, მინიმუმ წერილობით! აბა წარმოიდგინეთ ახლა, რამდენი ზღაპარი დადის, მათ შორის იმაზე, რომ როკი და როკ-ენ-როლი სატანისტურია, რომ, თუ პირიქით დაატრიალებ მუსიკალურ დისკს, მოისმენ სატანის დავალებებს, და ა.შ. თავის დროზე უნდა გამოჩენილიყო დამრიგებელი იმ არაადეკვატური ადამიანებისა, ვინც თავისი ავადმყოფი გონებით იგონებდა ამდენ ცრუ და თითიდან

მასონებს სჯერათ, რომ ღმერთი ანუ ყოველივეს შემქნელი ერთია, ამიტომ არის ის ყველასათვის საერთო, მისი რწმენით მოდიან ორდენში და ორდენი არ ერევა მისი წევრების რელიგიურ აღმსარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში. მასონური საძმო საიდუმლო ორგანიზაციაც არ არის, ვინაიდან მასონობა, მეტწილად ცხოვრების ფილოსოფიაა ვიდრე ორგანიზაცია და მხოლოდ პირადი, შიდა განხილვის საკითხები გააჩნია. მასონობა არ არის რელიგია, მის სტრუქტურაში არის მხოლოდ წმინდა კანონთა წიგნი, წარმოდგენილი ლოჟის მუშაობის დროს. არც ის არის ჭეშმარიტება, რომ „რიგითმა" მასონმა არ იცის „თუ რა ელოდება მას" 32 - 33ე ხარისხებზე (ანუ მოარული ჭორით - ლეგენდით, ვითომ მერე შეიცნობს ორდენის რეალურ „სატანისტურ" მხარეს"). ბაფომეტის ლეგენდაც მოგონილია:

თვითონ სახელი „ბაფომეტი“ წარმოიშვა სახელ "მუჰამედისაგან“, შუასაუკუნეების პერიოდში. ბაფომეტი არ არის მასონური „პერსონაჟი“, არცერთი მასონი მას არ "ეთაყვანება". შუასაუკუნეებში „ბაფომეტთან კავშირი“ გამოიყენებოდა ინკვიზიციის ბრალდებად, სხვადასხვა სასამართლო პროცესზე, მათ შორის მაშინაც, როდესაც ტამპლიერებს ასამართლებდნენ. მსგავსი ბრალდებები მოგვიანებითაც ხშირად ისმოდა, სხვა "საშიშ და არამორჩილ" ინდივიდების, თუ ორგანიზაციების საინკვიზიციო სასამართლო პროცესებზე. ტაძრელთა დაპატიმრების ორდერში "ბაფომეტის" ხსენებაც არ იყო! არანაირი დოკუმენტური თუ სხვა მტკიცებულება არ არსებობს იმის, რომ ტაძრელები იყენებდნენ რაიმე კერპს ან თუნდაც პენტაგრამას - ხუთ ქიმიან ვარსკვლავს, როგორც „თაყვანისცემის“ ობიექტს! საინტერესოა, რომ ბაფომეტს (მის გამოსახულებას) არანაირი კავშირი არ აქვს არც პენტაგრამასთან (რომელიც [illegible] არსებობდა, ტრადიციული რელიგიების გაჩენამდე) და არც მენდესის თხასთან. ეს სახელი, პირველად, მე-12-ე საუკუნეში საფრანგეთში "გამოჩდა" და რაც ყველაზე საინტერესოა, მისი "გამოსახულება" - მხოლოდ 1855 წელს (ელიფას ლევი)!

ანტონ ჟანდორ ლავაიემ და მისმა სატანისტურმა სექტამ პენტაგრამა, როგორც სატანისტური "ლოგო" 1966 წელს დაიმტკიცა, ისევე როგორც მენდესის თხის გამოსახულება.

მასონებს, ასევე აბრალებენ სხვადასხვა რელიგიური სექტის წარმოშობის მხარდაჭერას, მაგრამ ეს არ არის სწორი ფორმულირება. მასონთა რიგებში შესაძლოა იყო და ახლაც არის ისეთი ადამიანები, ვისაც სხვასხვა სფეროში აქვს ნიჭი. მას ორდენი ვერ დაუშლის ვერც პოლიტიკური პარტიის და ვერც რელიგიური ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამაში ორდენიც მონაწილეობს. შეიძლება მორმონების, „იეჰოვას მოწმეების“ და სხვა მრავალი ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობა მართლაც მიიღეს ინდივიდმა მასონებმა, მაგრამ ეს მხოლოდ „ინდივიდუალურ“ საფუძველზე და არა როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მასონურმა ორდენმა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ორდენი არ ებრძვის არცერთ კონკრეტულ რელიგიას, არ არის ჩართული რელიგიურ აქტივობაში, არ წარმოადგენს რელიგიას ან რაიმე ფორმით - სარწმუნოებრივ ერთობას, არ აქვს პრეტენზია „ცხონებაზე“ და ნამდვილად არ ცდილობს ადამია- ნების ცხოვრებაში რაიმე რელიგიური ინსტიტუტი ჩაანაცვლოს!

"მასონობა და საქართველოს რელიგიური ტრადიციები"

სამწუხაროდ, საქართველო მეოცე საუკუნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მარწუხებში იმყოფებოდა, რაც უაღრესად ნეგატიურად აისახა ქართული საზოგადოების განვითარების მრავალ ასპექტზე. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ის შანსი რაც საქართველოს 1918 წელს მიეცა, ჩვენმა მენშევიკურმა, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, სათანადოდ ვერ გამოიყენა. არ მაქვს იმის ილუზია, რომ საბჭოთა კავშირი არ ან ვერ მოახდენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, როგორც ეს ბალტიის სახელმწიფოების მაგალითზე მოხდა, მაგრამ ის მოკლე პერიოდიც კი (მაგ. 1918 – 1943 წწ. ანუ 25 წელი) ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების, სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესში. ქართული სამოქალაქო საზოგადოება სათანადოდ ვერ ვითარდებოდა მარტივი მიზეზის გამო - განვითარე-ბისთვის საჭიროა სტაბილური და მშვიდობიანი გარემო. ჩვენ ყოველთვის გვიწევდა ბრძოლა თვითმყოფადობის შესანარჩუ-ნებლად (ეს იყო ტერიტორია, ენა, გენი, კულტურა, ა.შ.) და შესაბამისად რაიმე დამატებითი სოციალურ - მოქალაქეობრივი დოვლათის შესაქმნელად არც დრო გვქონდა და არც საშუა-ლება. მეოცე საუკუნეში მოხდა მნიშვნელოვნი ტექნიკური, სამეცნიერო, და მსოფმხედველობრივი "რევოლუცია". განვი-თარდა მედია სამეცნიერო რესურსი, ინტერნეტი, ადამიანი გაფრინდა კოსმოსში, რაც მთავარია ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთთან მარტივი მიმოსვლა, ინფორმაციის და აზრთა გაცვლა. ამ ყველაფერმა, საქართველოს გვერდი აუარა და ჩვენი სამშობლო ამ პროცესების მიღმა აღმოჩნდა.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ბოლო სამმა დეკადამ რადიკალური და მნიშვნელოვანი გარდატეხა ჯერ ვერ შემოიტანა ქართულ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. საქართველოს მოქალაქეებს ჯერ ტერიტორიუ-ლი მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა მოუწიათ, შემდგომ სოციალური და ეკონომიკური კატასტროფის გავლა და სხვა პოლიტიკური და კულტურული საკითხების „მოგვარე-ბა". ამასობაში "გაფრინდა" საუკუნის ერთი მესამედიც... არც თუ ისე დიდი დრო ისტორიულ ჭრილში, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი - ადამიანური და მატერიალური თვალსაზრისით. რამდენიმე თაობა საერთოდ გაქრა... ბოლო 200 წელი ჯეროვნად ვერ ვითარდებოდა საქართველოს რელიგიური, სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტები. მოხდა ფასეულობების დამახინჯე-ბა და შეცვლა: ქართველი ადამიანი გაზარმაცდა და დაკნინდა (მტკივნეული თემაა, მაგრამ სიმართლეა); მას ერჩივნა ერთი ყუთი ღვინითა თუ კარგი პურმარილით საქმე მარტივად საბჭოთა მეტროპოლიის ცენტრში „ჩაეწყო" და „მოეგვარებინა", ოღონდ რეალურად საქმე არ ეკეთებინა ადგილზე, სამშობლოში.

ამის ფონზე, წარსულში შესაბამისი ტრადიციების ნაკლებობის გამო, დღესაც კი, საქართველოში არ არის ჯეროვნად განვითა-რებული დემოკრატიული, სამოქალაქო და საზოგადო-ებრივი ინსტიტუტები; შესაბამისი პოლიტიკური და სამოქალაქო შეგნებისა და კულტურის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ისევე როგორც ჭეშმარიტ ტოლერანტობას, სხვისი აზრის პატივისცემასა და დემოკრატიული ფასეულობების მართებულ აღქმას.

რაც ეხება რელიგიას. აქ უფრო საინტერესოდ ვითარდება მოვლენები, აქაც იყო 200 წლიანი წყვეტა, რუსი ეგზარხოსები, მათ მიერ ქართველი ერის წყევლა, შემდგომ კომუნიზმის ხანა - ეკლესიების, თვით ამ ინსტიტუტის არსის და ზნეობის ნგრევა, სასულიერო პირების და მათი „მემკვიდრეობის" განადგურება! დღეს ქართული ეკლესია დამოუკიდებელი, ავტოკეფალური და თავისუფალია, მაგრამ ისევე სჭირდება სტრუქტურული და კონცეპტუალური განვითარება, როგორც ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს. მოდით, გავიხსენოთ საქართველოში რელიგიის განვითარების ისტორია და სპეციფიკა, რა გვაქვს ჩვენ დღეს წარსულის ტრადიციებიდან შემორჩენილი და რელიგიაში სინთეზირებული.

ქართული წარმართული რელიგია ზოგადი, კრებითი სახელია იმ მრავალი, სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენებისა და რწმენებისა, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში და წინ უსწრებდა ქრისტიანობის გავრცელებას. მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე ოდიდგანვე იყო, შესაბამისად, მას უნდა გაევლო რელიგიის ყველა ის პირველყო-ფილი ფორმა, რომელიც გაიარა მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხმა.

მართლაც, არქეოლოგიური გათხრების მონაცემების, ეთნოგრაფიული მასალის, ქართული და უცხოური ისტო-რიული წყაროების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველ ხალხში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ანიმიზმი და მაგია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რელიგიის ამ პირველყოფილი ფორმების ზოგიერთი ელემენტი დღემდე შემოგვრჩა, განსაკუთრებით საქართველოს მთიან რეგიონებში. ამაზე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებენ, ან შესაძლოა წარსულის ეს ელემენტები უკვე ისე შევისისხლხორცეთ, რომ ყურადღებასაც არ ვაქცევთ, ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი ატრიბუტი გახდა. ხშირად, რელიგიის პირვანდელი ფორმები იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და შერწყმული, რომ მათ შორის მკვეთრი განმანსხვავებელი ხაზის გავლება ძნელია.

ქართლში წარმართული სარწმუნოების ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს გარდაცვლილთა და წინაპართა თაყვანისცემის კულტი წარმოადგენდა. საზოგადო-ების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანს ძილზე, სიზმარზე, სიკვდილზე დაკვირვების შედეგად გაუჩნდა შეხედულება, რომ ადამიანი შედგება ორი ნაწილისაგან: სხეულისაგან და სულისაგან, რომ სიკვდილის შემდეგ სული სრულებითაც არ წყვეტს არსებობას, არამედ შორდება სხეულს და აგრძელებს დამოუკიდებელ ცხოვრებას „სულეთში". ქართული წარმართული რწმენით, გარდაცვლილის სული ცოცხალი ადამიანის ორეულია, იგი სიკვდილის შემდეგ არ იცვლება და ზუსტად ისე ცხოვრობს, როგორც სიცოცხლეში. მაგალითად, სვანების რწმენით, თუ ადამიანი სიცოცხლეში იყო კოჭლი, სიკვდილის შემდეგაც კოჭლი იქნებოდა. სულებს ისევე ესაჭიროება მატერიალური ნივთები, როგორც ცოცხალ ადამიანებს. არ იცვლება არც მათი შეგრძნებები და განცდები. დღემდე, სვანეთში, დიდი სიფრთხილით ექცევიან სულებს, არ ანრისხებენ მათ. სვანების რწმენით, მიცვალებულთა სულები წელიწადის გარკვეულ დღეებში მიდიან თავიანთ სახლებში და რამდენიმე დღე - ღამის განმავლობაში, ზოგჯერ მთელი კვირითაც კი რჩებიან იქ. სვანებს გამომუშავებული აქვთ სულებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ეტიკეტი.

სულების არსებობაზე წარმოდგენის გაჩენასთან ერთად გაჩნდა რწმენა ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროს არსებობის შესახებ. მართალია, თავდაპირველად, გარდაცვლილის დამარხვა და მასთან დაკავშირებული ცერემონიალი რელიგიუ-რი წარმოდგენით არ წარმოშობილა, მაგრამ, შედარებით უფრო გვიან ხანაში იგი აშკარად რელიგიურ ხასიათს იღებს. მიცვალე-ბულთა და წინაპართა კულტი შემდგომში თანდათანობით უფრო გართულდა. გაჩნდა წარმოდგენა იმქვეყნიური სამყაროსი, როგორც მისაგებლის შესახებ; ე.ი. ის ადამიანი, ვინც კეთილ, უცოდველ ცხოვრებას ეწეოდა ამქვეყნად, საიქიოში ბედნიერად იგრძნობდა თავს, ვინც ბოროტი იყო და სცოდავდა, მისთვის იმქვეყნად სატანჯველი იყო გამზადებული. ასეთი შეხედულებებიდან უფრო გვიან ხანაში ყალიბდება წარმოდგე-ნები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ. მიცვალებულთა და წინაპართა კულტი შემადგენელი ელემენტია რელიგიის ერთ-ერთი პირველყოფილი ფორმისა, რომელიც ანიმიზმისსახელწოდებითაა ცნობილი. ამ კულტის გარდა, ანიმიზმი, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც ფართოდაა წარმოადგენილი, შექმნილია „რელიგიურ არსებათა" გარკვეუ-ლი იერარქიაც - კეთილი და ბოროტი სულები, ანგელოზები, დემონები, ეშმაკები და სხვა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვან იერარქიას ვხვდებით საქართველოში ბოროტი სულების, რომელთაც ხალხში ავ სულებს უწოდებენ. ასეთი მავნე სულებია: ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები, ჭინკები და სხვა. კუდიანების უფროსია როკაპი.

ქართულ წარმართულ სარწმუნოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფეტიშიზმი, რელიგიური რწმენა, რომელიც უსუ-ლო მატერიალურ საგნებს ბუნებრივ თვისებებს მიაწერდა. პირველყოფილი ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ამ საგნებით შეეძლოთ თავისი ქონების, მეურნეობის, პირუტყვის, სახლ-კარისა და თვით გვარის წევრების დაცვა. ყოველი ბუნებრივი მოვლენისთვის ადამიანებს მზად ჰქონდათ ფეტიშები. არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა უფრო რთული ფეტიშებიც - ავგაროზები, რომელსაც ყოველგვარი მარცხისაგან უნდა გადაერჩინა ადამიანი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თაყვანისცემის საგანი თუშეთში უნდა ყოფილიყო მაღალი კლდე (ასევე იხ. ლეგენდა კოპალეზე - ავტ.), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ცხვარსა და ძროხას სწირავდნენ. ქართველები თაყვანს სცემ-დნენ ცხოველებსაც. მათ შორის მგელს, ირემს, ძაღლს, გარეულ თხას, გველს და სხვა.

ქართულ წარმართულ რელიგიაში ფართო ადგილი ეკავა ჯადოქრობას (მაგიის ერთ-ერთი ფორმა). ფეტიშიზმისგან განსხვავებით, რომელიც მატერიალურ საგნებს მიაწერდა ზებუ-ნებრივ თვისებებს, ჯადოქრობას ეს თვისებები ადამიანზე გადაჰქონდა. ჯადოქრული ჩვეულებები თავდაპირველად წარმოდგა ადამიანთა სტიქიური, პრაქტიკული მოქმედებები-საგან, მაგრამ შემდეგ, როცა ეს მოქმედებები მოსწყდა პრაქტიკას და დაუკავშირდა ზებუნებრივ წარმოდგენებს, გაჩნდა მაგიაც.

იმ მრავალგვარი მაგიური ჩვეულებებიდან (სამკურნალო, სამეურნეო, საომარი, სასიყვარულო, ვნებითი, ა.შ.), რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მეტნაკლებად იყო გავრცელე-ბული, საქათველო-ში ფართო გასაქანი ჰქონდა მეტწილად ყველას... სხვათაშორის, მეტეოროლოგიურ მაგიასაც: ივ. ჯავახიშვილი ამ „ჯადოქრობას" საკმაოდ კარგად აღწერს, ე.წ. „ლაზარეობას", სამეურნეო -აგრარულ მაგიას, ზოგ კუთხეში მას „გონჯაობას" და თქვენ წარმოიდგინეთ და „წუწაობას"-აც უწოდებდნენ (წვიმა რომ მოსულიყო, მოსავალი რომ არ განადგურებულიყო გვალვისაგან). დღეს წუწაობა ჩვენს ენაში გამჯდარია და მის „მაგიურ" შინაარსს აღარ ვიყენებთ, მაგრამ ტერმინი მაინც წყალთან და „დასველებასთან" არის კავშირში.

გვაროვნულ საზოგადოებაში, როდესაც საწარმოო საშუალებანი ნაკლებად იყო განვითარებული, გვარის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მისი წევრების რაოდენობაზე. ამიტომ ნაყოფიერების და შვილიერების ღვთაებას დიდი ადგილი ეჭირა. მასთან იყო დაკავშირებული მაგიური მოქმედებებიც, რომელთა მთავარ შინაარსს განაყოფიერების ორგანოს საღიანობისა და ძლიერების ლოცვა-ვედრება შეადგენდა. ეს მაგიური რიტუალები ცნობილია სხვადასხვა სახელებით: „მელიაი ტულეფია", "ადრეკილა", „საქმისაი", „მურყვაობა". აკადემიკოსი ივ. ჯავახი-შვილი ფიქრობდა, რომ ქართლ - კახეთში გავრცელებული „ყეენობა"-ც ზემოთ დასახელებულ მაგიურ რიტუალებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საქართველოში საკმაოდ ცნობილი იყო სამკურნალო მაგიაც, მაგ. როდესაც ბავშვი წითელა - ბატონებით გახდებოდა ავად, მშობლები ავადმყოფის ოთახს წითლად რთავდნენ და სიმღერით ცდილობდნენ მის განკურნვას. ეს ტრადიცია დღესაც შემორჩა, თუმცა „მაგიურ" ძალას არ დებს ადამიანი მასში, მაგრამ ის მაინც იმ მაგიური ენერგეტიკის და რიტუალის ნაწილია, რაც საუკუნეების წინ ჩაეყარა საფუძვლად. არსებობდა მრავალი შელოცვა სხვადასხვა ავადმყოფობის განსაკურნად. ქართულ წარმართულ სარწმუნო-ებაშ○ არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტოტემიზმი, რელიგიური რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამა თუ იმ ცხოველს, მცენარესა და/ან ბუნე-ბის მოვლენას თავის წინაპრად თვლიდა. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემებით, ქართულ ტომებში ტოტემურ ცხოველებად მიჩნეული უნდა ყოფილიყო გარეული თხა, მგელი, რომლის მოკვლაც აკრძალული იყო სვანეთში, ირემი (იმერეთის გერბშიც კი დომინირებდა) და მცენარეთა შორის მაგ. მუხა. ჩვენში გვარებიც კი დაკავშირებულია ტოტემურ ცხოველებთან და მცენარეებთან, მათგან იღებს სათავეს ისეთი გვარები, როგორიც არის: შველიძე, ირემაძე, მგელაძე, მუხაძე, ა.შ.

თანდათანობით, რელიგიის პირველყოფილი ფორმები გზას უთმობენ უფრო რთულ რელიგიურ შეხედულებებს. ისახება პოლითეიზმი - მრავალღმერთიანობა, რომლის დროსაც ყოველ მოვლენასა და საგანს თავისი ღმერთ ჰყავს. საქართველოში პოლითეიზმის ნიშნებიც და ტრადიციაც კარგად ჩანს.

საქართველოში თავისი ღმერთი ჰყავდა მზეს, მთვარეს, მიწას, ცას, ტაროსს, ნადირობას, მოსავალს, ა.შ. იქმნება ერთგვარი იერარქიაც, თუმცა ერთიანი პანთეონი არ არსებობდა - სხვა-დასხვა კუთხეს საკუთარი იერარქია ჰქონდა. მაგ. ფშაველებთან და ხევსურებთან უმაღლესი ღმერთი „მორიგე"-ა, რომელიც მეშვიდე ცაზე ცხოვრობდა. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა და ვარაუდობდა, რომ „მორიგე" ან მნათობი კრონოსი უნდა იყოს, ან მისი თანამოსაყდრე და გამოხატულება. სვანებს კი, უმაღლეს ღმერთად ჰყავდათ „დამბადებელი ხოშა ღმერთი", ხოლო ტაროსის ანუ ქარის ღმერთი ვობი იყო, ნადირობის კი - დალი, ელჭექისა და ღრუბლების - ელია, მოსავლის ღმერთი - არალე, და ა.შ. ასევე ქართველები თაყვანს სცემდნენ მთვარის კალენდრის დღეებს, თითო დღეს საკუთარი ღვთაება გააჩნდა.

ქართველი ტომების კონსოლიდაციამ და ქვეყნის გაერთიანებამ გამოიწვია ოფიციალური სახელმწიფო რელიგიისა და ღვთაება- თა პანთეონის ჩამოყალიბება. ღმერთების უფროსი ღვთაება მთვარის ღმერთი - არმაზი იყო. მისი კულტი მცირე აზიიდან უნდა შემოეტანათ, დაახლოებით ძვ. წ.-ის მეშვიდე საუკუნეში, მას შემდეგ, რაც იქ გაანადგურეს მესხების (მუშქების) სამეფო, მათმა ერთმა ნაწილმა ჩრდილო - აღმოსავლეთისაკენ გადმოინაცვლა და სამხრეთ საქართველოში დამკვიდრდა. ლეონტი მროველი აღწერს: „ ... რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცვა ჯაჭვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა" - ამ კერპის წინაშე ლოცულობდნენ მცხეთელებიც და აღმოსავლეთ საქართველოს მაცხოვრებლები. მას შემდეგ, რაც წარმართული მთვარის კულტი ქრისტიანობამ შეცვალა, ამ კულტის ბევრი ატრიბუტი წმინდა გიორგის თაყვანისცემაზე გადავიდა. მესხების შემოტანილია ზადენის - ნაყოფიერების ღმერთის კულტიც. წარმართულ რელიგიას, საკმაოდ ფართო ადგილი ეჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, დიდ როლს ასრულებდა სალოცავი კერპები და მათი ტაძრები, რომლებიც წარმართული ღმერთების პატივსაცემად იყო აგებული. სხვათა-შორის, ბევრი ქრისტიანული სალოცავი, სწორედ ამ ტაძრების ნანგრევებზეა აგებული ან მათთან უშუალო სიახლოვეში.

მეოთხე საუკუნიდან ქრისტიანობამ მთლიანად ჩაანაცვლა წარმართული პანთეონი და მისი ღმერთები, თუმცა, წარმართუ-ლი რელიგიის ელემენტები ჩვენს დრომდე მოვიდა და შეერწყა ერის ადათ - ტრადიციებს, ხოლო ყველაზე უფრო ფართოდ ცნობილი და გავრცელებული წარმართული რიტუალები ქრისტიანობას შეეზარდა.

ქრისტიანობა საიდან და როგორ შემოვიდა და წმ. ნინოს ცხოვრებას აქ აღარ მოგითხრობთ, ეს ისედაც იცის მკითხველმა, მე შევეცდები ვიმსჯელო იმაზე, თუ რითი იყო განპირობებული საქართველოს გაქრისტიანება და რა მოჰყვა ამას. ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებას ბევრად უფრო სერიოზული და ღრმა მიზეზები ჰქონდა, ვიდრე ნინო კაბადო-კიელის მოღვაწეობა. ქრისტიანობის გამარჯვების მიზეზების სრული სურათის დასანახად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის სიღრმისეული პროცესები, რომელიც ქართლის სამეფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა. ამას წინ უსწრებდა ქართლში ფეოდალური წყობის ჩამოყალიბება, მეფესა და ფეოდალებს შორის მიწის გადანაწილების პრინციპის შემუშავე-ბა. მეფე ძველი წარმართული ტაძრებისა და ქურუმების მიწები-სა და ქონების დაპატრონებას ცდილობდა, გასათვალისწინებე-ლია აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობაც. აღნიშნული პერიოდისათვის ძალზე გაძლიერდასასანიდური ირანის შემოტევები. ქართლის სამეფო საფრთხის თავიდან ასაცილებლად ცდილობს ბიზანტიასთან შეკავშირებას. ეს კავშირი ქართლის სამეფოს ნაკლებად აშინებდა, ვინაიდან ბიზანტია ტერიტორიულად გაცილებით შორს მდებარეობდა, ვიდრე სპარსეთი. ამასთანავე, ქართლის მესვეურები ამჯობი-ნებდნენ ურთიერთობა დაეჭირათ კულტურულ და პროგრე-სულ ბიზანტიასთან, ვიდრე შედარებით ჩამორჩენილ სპარსეთთან. ამ ფაქტორმა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საინტერესო ფაქტია, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში ქრისტიანობა არ შემოსულა როგორც მწიგნო-ბრული რელიგია, მაგ. ქართულ ლიტერატურაში უძველეს, მეხუთე საუკუნის, ძეგლად ითვლება იაკობ ცურტაველის„შუშანიკის წამება". მაგრამ ის მაღალი მხატვრული დონე, ის უხვი ლიტერატურული ხერხები და ოსტატობა, რომლითაც ნაწრმოებია დაწერილი, ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართულ ლიტერატურას ხანგრძლივი გზა უნდა გაევლო მანამდე, ვიდრე ასეთი მაღალმხატვრული ნაწარმოები შეიქმნებოდა. უნდა ვივარაუდოთ და ეს მხოლოდ ვარაუდია, რომ საწყის ეტაპზე ქრისტიანული ეკლესიის მესვეურებმა იზრუნეს ძველი წარმართული ლიტერატურის (და არა მარტო ლიტერატურის) მოსპობაზე. იგივე მოხდა მაგ. ალექსანდრიის ბიბლიოთეკასთან მიმართებით. ნათელია, რომ ეს იმ პერიოდში აპრობირებული მეთოდი იყო, ვინაიდან ყოველი წარმართული, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა და ფილოსოფიური ტრაქტა-ტები, ითვლებოდა ერესად, მწვალებლობად.

ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან ერთბაშად და ნებაყოფლობით არ მომხდარა. ცხადია, რომ წარმართულ რელიგიასთან გარკვეული საზოგადოებრივი ფენა იყო დაკაშირებული. ცნობილი რომაელი გეოგრაფი სტრაბონი იბერიის მოსახლეობის დახასიათებისას მერე გენეს უწოდებს. მეფე მირიანი ქრისტიანობის გავრცელების საბაბით შეჭრილა საქართველოს აღმოსავლეთის მთიან კუთხეებში და დაუწყია დაპრყობა. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ მთიულთა მოსაქცევად წასულან ნინო კაბადოკიელიც და ეპისკოპოსი იოანე. როდესაც ფხოველებს, წილკნელებსა და გუდამაყრელებს უარი უთქვამთ ქრისტია-ნობის ნებით მიღებაზე, მეფის ჯარს მახვილით შეუმუსრია და დაულეწია მათი წარმართული კერპები. იქიდან ჯარი გადასულა ჟალეთს, „უქადაგეს" იქაც ერწო - თიანეთელებს. მიუხე-დავად ამისა, მთიელებს დღემდე შემორჩათ წარმართული რელიგიის ელემენტები, ზოგი არც შეგუებია ძალით ნაქადაგებს და მაგ. ფხოველები გადასახლებულან თუშეთში. წინააღმდეგო-ბა დაფუძნებული იყო ორ ძირითად ფაქტორზე: ახალი რელიგია მოასწავებდა მთიელების მორჩილებას ბარისადმი, ქართლის სამეფოსადმი და მეორე, ბარისგან განსხვავებით, სადაც ფეოდალიზმი ვითარდებოდა, მთაში კვლავ ძლიერი იყო თემური წყობილება. ამ უკანასკნელს კი წარმართული რელიგია უფრო „შეეფერებოდა", ვიდრე ქრისტიანობა. ამასობაში, ქართლში ბიზანტიამ გამოაგზავნა პირველი მღვდელმთავრები, ისინი ბერძნები იყვნენ და პირველი ხანებში წირვა - ლოცვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, ეს ფაქტორიც ართულებდა ახალი რელიგიის მიღებას. ბერძნულიდან ითარგმნა ქართულად ქრისტიანული ლიტერატურაც, უპირველეს ყოვლისა კი ბიბლია. ჩვენი ეკლესია ჯერ კონსტანტინოპოლის ეკლესიას „მიეწერა", 381 წლიდან ანტიოქიის ეკლესიას, უფრო გვიან კი, 472 წელს, ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდში, ქართულმა ეკლესიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ავტოკეფა-ლია, რაც საბოლოოდ კონსტანტინოპოლის მეექვსე საეკლესიო მსოფლიო კრებაზე იქნა აღიარებული და დამტკიცებული. მცხეთა - ივერიის კათალიკოსი პატრიარქების თანასწორად გამოცხადდა.

ლაზეთში კი მდგომარეობა სხვაგვარად იყო, ვინაიდან ლაზებს და დასავლეთ საქართველოს მთლიანობაში ახლო მეზობლად ჰყავდა ბიზანტია და იყო საშიშროება დიდი იმპერიის ზეგავლენის ქვეშ მოქცეოდა შედარებით პატარა სახელმწიფო. ამიტომ, ლაზები ქართლის სამეფოსგან განსხვავებით პოლიტიკურ კავშირებს სასანიდურ სპარსეთთან ეძებდნენ. მაგრამ 523 წელს ბიზანტიის ზეწოლით ლაზთა მეფე წათე იძულებულია ჩავიდეს კონსტანტინოპოლში და იქ მიიღოს ქრისტიანობა.

608 წელს გაითიშა ქართული და სომხური ეკლესიები. ეს იყო შედეგი იმ ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა ქრისტიანობის ორ მიმართულებას შორის: მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის. პირველს, საფუძველი ჩაუყარა კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტმა ევტიხიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეს აქვს ერთი ბუნება, მხოლოდ ღვთაებრივი. დიოფიზიტები ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრსიტეს აქვს არა მარტო ღვთაებრივი ბუნება, არამედ ადამიანურიც. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარეობდა. 451 წელს, ქალკედონის საეკლესიო კრებაზე დიოფიზიტებმა

გაიმარჯვეს. კავკასიაში კი, ამ ორი ქრისტიანული მიმართულების ზურგს უკან პოლიტიკური ძალები იდგნენ - ირანი და ბიზანტია, ეს უკანასკნელი დიოფიზიტობას უჭერდა მხარს, ხოლო სპარსეთი კონფლიქტის გაღრმავების მიზნით (მანამდე, არ გამოუვიდა მაზდეანობის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის დანერგვა) მხარს მონიფიზიტებს უჭერდა. ქართულმა ეკლესიამ მხარი დიოფიზიტობას დაუჭირა, სომხურმა კი - მონოფიზიტობას.

შუა საუკუნეებისათვის მცხეთის კათალიკოსის სასულიერო სამფლობელოები, საკმაოდ დიდი იყო, მას ემორჩილებოდა ზემო და ქვემო ქართლი, კახეთი, ალბანეთი, ოსეთი, კავკასიის მთიულეთი, შაქი - შირაქი და სხვ. მატერიალური ქონებაც და სამფლობელოებიც არ აკლდა, 237 სოფელი ეკუთვნოდა, მაცხოვრებელი აზნაურობითა და გლეხობით, ასევე საბაჟოები, საღებროები, სათევზაო ადგილები მდინარეებზე, ა.შ. კათოლი-კოსი საკუთარ მამულებში სარგებლობდა როგორც სასულიერო, ასევე, საერო ძალაუფლებით. სასულიერო სამართალი გავლენას ახდენდა საერო მართლმსაჯულებაზე. ისევე, როგორც დღეს მაგ. ირანში, შარიათის კანონმდებლობა. ქართველი მეფეები ეკლესიას საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის იყენებდნენ. მეფე დავით აღმაშენებლის დროს შემოღებულ იქნა ჭყონდიდელ - მწიგნობართუხუცესის თანამდებობა.

1801 წლის მანიფესტით ქართლ - კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. ამ ფაქტმა განსაზღვრა ქართული ეკლესიის ისტორიული ბედიც! ჯერ კიდევ 1783 წელს რუსეთსა და ქართლ - კახეთის სამეფოს შორის დადებულ გეორგიევსკი ტრაქტატში ნათქვამი იყო, რომ ქართული ეკლესიის მმართვე-ლობის და მისი დამოუკიდებლობის შესახებ რუსეთის წმინდა სინოდთან უნდა შედგენილიყო ცალკე არტიკული. ამ არტიკუ-ლის მიხედვით მეფეს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო სასული-ერო საქმეებში, ამიტომ როდესაც გადაიჭრებოდა საქმე პოლი-ტიკურად, შემდეგ უნდა გადაეწყვიტათ სარწმუნოებისა და აგრეთვე ეკლესიათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. მაგრამ, ცარისტულმა ხელისუფლებამ ამ არტიკულს ყურადღე-ბა არ მიაქცია და თანდათანობით ქართული ეკლესია დაუმო-რჩილა რუსეთის სინოდს. 1811 წელს, კათალიკოსი ანტონ IIგაიწვიეს პეტერბურგში. ეს ფაქტი უკვე მოასწავებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას, ამის შემდგომ შეიქმნა საეგზარქოსო.

საეგზარქოსოს მთელი ისტორიის განმავლობაში, მხოლოდ პირველი ეგზარქოსი ვარლამი იყო ქართველი, დანარჩენი თოთხმეტი - რუსი იყო. საეგზარქოსოს დამკვიდრების შემდგომ თანდათან დაინერგა რუსული საეკლესიო წესრიგი. ბევრ ეკლესიაში შემოღებულ იქნა ხალხისთვის გაუგებარ ენაზე წირვა - ლოცვა, ეკლესია რუსეთის ხელისუფლების ნაწილად ითვლებოდა. ეკლესია აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ეწეოდა: იყო მცდელობა, სწავლების პროცესში ამოღებული ყოფილიყო ქართული ენა, გაეთიშათ ქართველი ხალხი, მეგრელებს და სვანებს არაქართველებად აცხადებდნენ, რაც დღემდე „აქტუალურია" რუსი რეაქციონისტებისათვის. ერთ - ერთი ეგზარქოსი პავლე, 1886 წელს იქამდე მივიდა, რომ საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი!!! ამას ქართველთა შორის მძლავრი საპროტესტო გამოძახილი მოჰყვა, მაგრამ ეგზარქოსი ერთგული სამსახურისთვის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოვა. უცხოე ენაზე წირვა - ლოცვამ ემოციური დატვირთვაც დაუკარგა ქართულ მართლმა-დიდებლობას, შეირყა მოსახლეობის რწმენაც, ეკლესიისადმი გაჩნდა უნდობლობა, როგორც რუსული ოკუპაციური სისტემის ნაწილისადმი.

1918 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართულმა სამღვდელოებამ დროებითი მთავრობისგან მიიღო ავტოკეფა-ლია. სწორედ პირველი რესპუბლიკის მთავრობის მასონი წევრების მესვეურობით საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. ჩვენმა მასონებმა აგრეთვე გადაწყვიტეს ეკლესიისათვის გამოეყოთ დამატებითი დაფინანსება. ეს თანხე-ბი საკმაოდ დიდი იყო, სამაგიეროდ, ქართული ეკლესია ეხმა-რებოდა მთავრობას ხელისუფლების განმტკიცებაში.

წარმოგიდგინეთ საქართველოში რელიგიის განვითარების მოკლე აღწერა - ისტორია, ახლა განვიხილოთ რელიგიისა და სახე-ლმწიფოს ურთიერთკავშირი და მათი გამიჯვნის აუცილე-ბლობა, ორივე ინსტიტუტის სამომავლო კეთილდღეობისათვის და განვითარებისათვის. მასონები არ ებრძვიან არც ერთ რელი-გიურ მიმართულებას მსოფლიოში, ორდენი, პირიქით, აერთია-ნებს ყველა მრწამსის მამაკაცს, რომელიც საკუთარ საზოგადოე-ბაში წარმოადგენს იმ განათლებულ და პროგრესულ ნაწილს, რომელიც ცდილობს რელიგიისა და მეცნიერების ჰარმონიით შექმნას უკეთესი!

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი არქივარიუსი ფრიად ღირსეული ძმა ლაშა მ∴

მასონობა და რელიგია

მასონურ საძმოს, როგორც ერთობას, ორგანიზაციას, [არც ერთ] რელიგიასთან არანაირი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ლოჟაში მყოფი ორდენის წევრი სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარია. ან შეიძლება ინდივიდი, მასონი, არც იყოს კონკრეტული აღმსარებლობის მიმდევარი, უბრალოდ სწამდეს ღმერთის და იყოს მორწმუნე. ხშირად გვეკითხებიან - "რომელი ღმერთის სწამთ მასონებს"? თითოეული მასონი თავისუფალია თავის ცხოვრებისეულ არჩევანში და აქვს ის სარწმუნოება ანუ რწმენა, რომელიც მისი არჩეულია მასონურ ორდენში გაწევრიანებამდე. მასონი შეიძლება იყოსქრისტიანი, მუსულმანი, იუდეველი, ბუდისტი და სხვა. რწმენის საკითხი ინდივიდუალური ძმის (მასონის) სუბიექტური საქმეა. მთავარია, მას სწამდეს ღმერთის, შემქმნელის, რომელიც ერთია და მხოლოდ ერთი. მავანს სწორედ ეს უქმნის დიდ პრობლემას, სხვადასხვა რელიგიის, პოლიტიკური, სოციალური თუ ეთნიკური მსოფლმხედველობის და წარმომავლობის მამაკაცი, ადამიანი, რომელიც არის ერთი ცხოვრების წესით და სიყვარულით გაერთიანებული!

საქართველოში, საზოგადოების ნაწილი მცდარად ფიქრობს, რომ მასონობა არის ანტირელიგიური გაერთიანება ან თვითონ არის რელიგია, რომელიც ტრადიციულ რელიგიებს ებრძვის და ცდილობს გადაიბიროს მათი მრევლი (ხშირ შემთხვევაში, იგივე ხალხი თვლის, რომ დანარჩენი ყველა რელიგია მასონური ორდენისგან დიდად არ განსხვავდება და არის „მწვალებლური", ა.შ.).

რელიგია, ლოჟის მიღმა აღმოჩნდა. მას, პოლიტიკასთან ერთად, ორდენის შიგნით არ განიხილავენ, რომ არ მოხდეს ძმებს შორის უსიამოვნება და დაპირისპირება. მასონური ორდენი არის მამაკაცთა ერთობა, რომელსაც თავისი განვითარების ფილოსოფია გააჩნია - ჰარმონიული და ჰუმანური.

ანსელმ კენტერბერიელი, განიხილავდა რა, ღმერთის არსებობის დასაბუთების შესაძლებლობებს, ამბობდა, რომ ღმერთის არსებობის დასაბუთება შეუძლებელია, ვინაიდან თუ დავასაბუთეთ მის მატერიალურ არსებობას, მაშინ ის ღმერთი აღარ იქნება, მისი არსებობა მხოლოდ რწმენის საკითხია. ღმერთი არის ერთი, სამყაროს შემოქმედი, დიადი არქიტექტორი. მის შემოქმედებაში ვეძებთ გეომეტრიულ ახსნას, ზებუნებრივს, რაციონალურს, მაგრამ გვავიწყდება, რომ მარტივი ახსნა არ არის, და ვერც იარსებებს. ჩვენი გონი ვერასოდეს მიხვდება იმ ლოგიკას რაც დევს მთლიან შემოქმედებით პროცესში. ჩემთვის ღმერთი და რელიგია არ არის ერთი. ღმერთის რწმენა არის მტკიცე, შეურყეველი და სათნო. ისეთი სპეტაკი, რომ ამ სიყვარულზე მხოლოდ ღმერთთან შეგიძლია ისაუბრო.

ღმერთი ერთია. უკვდავი სული ღმერთის ბოძებულია. ღმერთმა მოგვცა თავისუფალი არჩევანის უფლება - ჩვენს საქციელზე, ქმედებაზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი. უფალი, ყველას მიუტევებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ თავად უნდა მივუტე-ვოთ ჩვენს გარშემომყოფთ და საკუთარ თავს.

მასონობა არ და ვერ იქნება ვერც რელიგია და ვერც რელიგიური სექტა, მას სხვა არსი და დანიშნულება აქვს, იგი ცხოვრებისეუ-ლი ფილოსოფიაა, ფილოსოფიური არსებობის მეტაფიზიკური ფორმაა. „რიტუალი" - მხოლოდ ტერმინია, რომელიც კაცობრი-ობის მიერ დაგროვებული ინტელექტუალური და სპირიტული ცოდნის სისტემატიზაციისა და „გამეორების" ფორმაა. წმინდა კანონთა კრებული - შემქმელის სიტყვაა, რომელსაც არ აქვს მხოლოდ რელიგიური დატვირთვა, ის სიბრძნეა, ერთგვარი კაცობრიობის ცოდნის საუნჯეა. მასონობა სიბრძნის სიყვარულისა და რეალობის სინთეზია.

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი კვარტირმეისტერი ფრიად ღირსეული ძმა ზაზა ხ.∴

თანამედროვე ჯადოქრობა

საქართველოში ხშირად აკავშირებენ მაგიას ან რელიგიის რაიმე ფორმასთან ან მხოლოდ ნეგატიურ, ბნელ და შავ მის გამოვლინებასთან. ზოგიერთი ფილოსოფოსისა და რელიგიის მკლევარის აზრით, მაგია სრულიად არ არის რელიგიის ფორმა. განსხვავება მაგიასა და რელიგიას შორის, მათი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ თუ მორწმუნეს სჯერა ღმერთის არსებობა და მასზე ამყარებს იმედს, ჯადოქარს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს. მაგიური ჩვეულებები თავდაპირველად ადამიანთა სტიქიური, პრაქტიკული მოქმედებებისაგან წარმოიშვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მოქმედებები მოსწყდა პრაქტიკას და დაუკავშირდა ზებუნებრივ წარმოდგენებს, - გაჩნდა მაგია.

ადამიანი ძველთაგანვე ცდილობდა ე.წ. ზებუნებრივი ძალები, რომელთა არსებობა მას სწამდა, თავის სასარგებლოდ აემოქმედებინა. ამ მიზნით მიმართა ჯადოქრობას, შელოცვას. მაგიის ელემენტები, ქრისტიანობაში გადამუშავებული და გართულებულია. მოკლედ შევეცდები აღვწერო მაგიის ტიპები. მაგიური ადათწესები და რიტუალები მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული. არ არსებობს ხალხი, რომელსაც ამა თუ იმ სახით მაგიური შეთქმები არ ჰქონოდეს. ამიტომ, მათი დახასიათების გასაადვილებლად მკლევარებს შემოღებული აქვთ სხვადასხვა კლასიფიკაცია. საერთოდ, მაგიურ ხერხებსა და რიტუალებს შემდეგი ნიშნების მიხედვით ყოფენ: 1. სირთულის 2. საერთო მიმართულების 3. მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმის 4. მიზნობრივი დანიშნულების.

სირთულის მიხედვით მაგია იყოფა ინდივიდუალურ (მარტივ) და კოლექტიურ (რთულ) სახეობებად. თუ მაგიას დავახასი-ათებთ საერთო მიმართულების მიხედვით, მასში შეიძლება გავარჩიოთ აგრესიული, ანუ პროტრეპიული და დაცვითი, ანუპროფილაქტორული ტიპები. თავის მხრივ, ორივე ტიპის მაგიაში არის ისეთი სახეობები, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფსიქოლოგიურგი მექანიზმებით. აგრესიული მაგიის ტიპს მიეკუთვნება: კონტაქტური მაგია, ინიციური (დაწყებითი, ტრანსმისიური, ინცეპციონალური) მაგია, პარციული (კონტაგიოზორული) მაგია, იმიტატური (ჰომეოპათიური ან სიმილური) მაგია, ა.შ. დაცვითი (პროფილაქტიკური) მაგიის ტიპებს მიეკუთვნება: განდევნითი (აპოტროპეული) მაგია, რომლის მიზანია ავი თვალისაგან დაიცვას ავგაროზის მატარებელი; განწმენდითი (კატარტული) მაგია გულისხმობს რიტუალურ განბანას, განწმენდას.

რაც შეეხება მაგიის დაყოფას მიზნობრივად, მისი კლასიფიკაცია შემდეგია: სამკურნალო მაგია, სამხედრო მაგია, სარეწაო მაგიას (სამონადირეო), სასიყვარულო მაგია, სამეურნეო მაგია, ასევე, შავი მაგია - მაგიის ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სახეობაა. მისი დანიშნულებაა ზიანი მიაყენოს ერთ ან რამდენიმე პიროვნებას. მაგიის ეს სახე იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ მას ხშირად თვით სამეცნიერო და რელიგიურ ლიტერატურაში საერთო მაგიასთან აიგივებენ.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ბევრ ცხოველს, მცენარეს ან ნივთს მიაწერდნენ მაგიური ზემოქმედების უნარს. მაგიური იარაღად ჩვეულებრივ ისეთ საგნებს ან ცხოველებსა და მცენარეებს ასახელებდნენ, რაც ზიზღს იწვევდა ადამიანებში. მაგ. სწამდათ, რომ ძროხის ან ცხვრის რქებში დაბუდებული იყო სხვადასხვა დამღუპველი საშუალება. თუ ვინმესთვის ზიანის მიყენება სურდათ, მათ რქებს დაუყრიდნენ ეზოში. ასევე ხშირად იყენებდნენ თოკს, წყალს, ადამიანის სხეულის ნაწილებს (თმას, ფრჩხილს, ა.შ.), მისი ტანსაცმლის ნაგლეჯებს, საჭმლის ნარჩენებს და სხვ. თუ, მაგალითად, მაგიის ჩამტარებელი მოახერხებდა თავისი მტრის ბალიშის ქვეშ ამოედო თმის ბეწვი, ეს მეტად სახიფათო მაგიად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, თავისი შელოცვებით... მაგებს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გონების ხელყოფაში სდებდნენ ბრალს, ეს ბრალდებანი სრულიად საკმარისი იყო შავი მაგებისა და ჯადოქრების მუდმივი დევნისათვის.

საინტერესოა, მაგიისა და რელიგიის ურთიერთკავშირი და ურთიერთ მიმართება. მაგიის კვალი შეიმჩნევა ყველა თანამედროვე მონოთეისტურ რელიგიაში. მაგ. იუდაიზმის წმინდა წიგნ თორაში ვხვებით მაგიის ყველა სახეობას: ვნებისმომტან, სამკურნალო, სასიყვარულო, რეწვის და სხვ. თორაში აღწერილია, თუ როგორ ეჯიბრებოდნენ მაგიაში:

მოსეს ხუთი წიგნის მიხედვით, მოსემ და აარონმა ათასგვარი უბედურება გაუგზავნეს ეგვიპტელებს, ეს იყო მაგია და სხვა არაფერი. ეგვიპტელი მაგები დამარცხდნენ შერკინებაში, რადგან მოსესა და აარონს უფლის ნება და მეტი პოზიტიური ენერგია უმაგრებდათ ზურგს.

მაგიის გადმონაშთებს, ასევე უხვად ვხდებით ქრისტიანობაშიც, აქ მაგიას უკვე „სასწაულებს" უწოდებენ, ანუ ისეთ მოვლენებსა და ქმედებებს, რომელიც არა ადამიანის, არამედ მხოლოდ უფლის ან წმინდანების (ისევ და ისევ ღმერთის ნებით) პრეროგატივაა. მაგიის ელემენტები სხვა რელიგიებშიც შეიმჩნევა, მაგ. ისლამში. ამ სარწმუნოების ემბლემაა უკვე მაგიური ხასიათის (ისევე, როგორ ქრისტიანულ და იუდაისტურ რელიგიათა შემთხვევაში)! იგი გამოხატავს ძველ არაბულ შეხედულებას, რომელიც მთვარეს წმინდა მნათობად თვლიდა და მაგიური ზემოქმედების უნარს მიაწერდა, ემოქმედა ადამიანის ბედზე. ისლამი გმობს მაგიის გარკეულ სახეობებს, მაგრამ რიგ სახეობებს დიდ ყურადღებას უთმობს, - მაგ. ასტრალურ მაგიას, მკითხაობას მფრინველთა ფრენის მიხედვით და სხვ. ბუდიზმშიც და ლამაიზმშიც არის მაგიის ადგილი, აქ მაგიური მნიშვნელობა ენიჭება სულებს და ასტრალურ მაგიას.

ხშირად მაგია, ეზოთერიკული და ეგზოთერიკული ცოდნა, კაბალა, ჰერმეტიზმი, ოკულტიზმი და ალქიმია მასონური ორდენის „რელიგიურ ინსტრუმენტებად" აღიქმება, რაც არ შეესაბამება ობიექტურ და ლოგიკურ რეალობას. არსებობენ მაგი მასონები, ოკულტისტი და ალქიმიკოსი ძმები, მაგრამ ეს ისევე ინდივიდუალური ხასიათის მათი პირადი არჩევანია, როგორც სხვა ნებისმიერი, მასონური ორდენი არ არის ის ადგი-ლი, სადაც გაწევრიანებული ადამიანი მეორე დღეს დაიწყებს პრაქტიკულ მეცადინეობას კაბალაში თუ მაგიაში. მასონური ორდენი ცდილობს მეტი ყურადღება დაუთმოს ეზოთერიკას, დაკარგული ან მივიწყებული ცოდნის მოძიებას, ბიბლიის ალეგორიულ გაგებას, მაგრამ ეს ყოველივე ყველა მასონის „ხვედრი" როდია.